

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

იურიდიული ფაკულტეტი



ანი შაბაშვილი

მამკვიდრებლის კრედიტორთა მოთხოვნის ფარგლები და მათი
დაკმაყოფილების წესი

სამაგისტრო ნაშრომი მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ანა ხარაიშვილი, მოწვეული ლექტორი

თბილისი,

2019

ჩემს ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებ ქართულ სამართალში მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესების დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ეს საკითხი მეტად აქტუალური და პრობლემურია დღევანდელ რეალობაში, ვინაიდან დღითი-დღე იზრდება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების რიცხვი. უფრო და უფრო იზრდება ერთმანეთის მიმართ ფულადი და თუნდაც სხვა სახის ქონებრივი ვალდებულებების მქონე პირთა რაოდენობა, ხშირ შემთხვევაში მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილება უამრავ წინააღმდეგობას აწყდება, რაც, თავის მხრივ, ვფიქრობ არსებული კანონმდებლობის ხარვეზებთან და სისუსტეებთანაც არის დაკავშირებული.

თემის მიზანს წარმოადგენს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოვლენა და მათ გადასაჭრელად ოპტიმალური გზების შეთავაზება.

ნაშრომში განხილულ თემატიკასთან დაკავშირებით მოცემულია, როგორც ქართული, ასევე უცხოური მასალა, სტატიები, ნაშრომები და ა.შ. ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია შედარებით სამართლებრივი მეთოდი, ასევე გამოყენებული იქნება ანალიტიკური კვლევის მეთოდი და განხილულ თემასთან დაკავშირებული სხვადასხვა ქვეყნის შედარებითი ანალიზი.

იქიდან გამომდინარე, რომ ნაშრომის **პირველი ნაწილის** შესავალს წარმოადგენს, ყურადღებას გავამახვილებ **მეორე ნაწილზე**, რომელშიც გადმოცემულია სამკვიდროს გახსნისა და სამკვიდრო ქონების დადგენასთან და მიღებასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი მიმართება კრედიტორის ინტერესებთან. ნაშრომის **მესამე ნაწილი** ეხება უშუალოდ კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ქართულ სამართალში არსებულ რეალობას და იმ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება კრედიტორებს შეექმნათ მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში.

ნაშრომის **მეოთხე ნაწილში** განხილულია, თუ, როგორ ხდება კრედიტორთა ინტერესების დაცვა, უმკვიდრო ქონების შემთხვევაში. ხოლო **მეხუთე ნაწილში** მოცემულია კრედიტორთა ინტერესების დაცვის მსოფლიოში აღიარებული გზა, კერძოდ სამკვიდროს დაცვა, რომელიც ქართულ პრაქტიკაში, სამწუხაროდ, არ გამოიყენება კრედიტორთა ინტერესების დასაცავად.

სარჩევი

| | | |
|------|---|----|
| I. | შესავალი..... | 4 |
| II. | მემკვიდრეობის მიღების ზოგადი წესები და მათი მნიშვნელობა მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესთა დაცვისათვის | 5 |
| 1. | მემკვიდრეობითი სამართალი, მისი სუბიექტები და ობიექტი..... | 5 |
| 2. | სამკვიდრო ქონება, სამკვიდროს გახნის დრო და ადგილი..... | 8 |
| 2.1 | გაჩუქებული ქონების ჩართვა სამკვიდრო მასაში..... | 11 |
| 2.2 | ანგლო-ამერიკული და კონტინენტური ევროპის ქვეყნების პრაქტიკა..... | 12 |
| 3. | სამკვიდროს მიღება, სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა | 13 |
| 3.1 | ანგლო-ამერიკული და კონტინენტური ევროპის ქვეყნების მიდგომა..... | 19 |
| 3.2 | ქართული სასამართლო პრაქტიკა | 21 |
| III. | მემკვიდრეთა მიერ კრედიტორთა დაკმაყოფილება | 23 |
| 1. | მემკვიდრეთა ვალდებულებები მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე. | 23 |
| 2. | კრედიტორთა მოვალეობები მოვალის გარდაცვალებისას | 35 |
| 3. | მემკვიდრეთა მიერ კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების რისკები . | 38 |
| 4. | ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნების პრაქტიკა კრედიტორთა ინტერესების დაცვასთან მიმართებაში..... | 43 |
| 5. | ქართული სასამართლო პრაქტიკა..... | 45 |
| IV. | უმკვიდრო ქონება | 47 |
| 1. | კრედიტორთა დაკმაყოფილება უმკვიდრო ქონებიდან | 47 |
| 1.1 | სახელმწიფოს ვალდებულებები მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე 49 | |
| 1.2 | უმკვიდრო ქონების მიმღებ დაწესებულებათა ვალდებულებები მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე..... | 51 |
| 2. | უმკვიდრო ქონებასთან დაკავშირებული პრობლემები ქართულ პრაქტიკაში 52 | |
| V. | სამკვიდროს დაცვის მნიშვნელობა კრედიტორთა დაკმაყოფილების ჭრილში 53 | |
| VI. | დასკვნა..... | 55 |
| | ბიბლიოგრაფია..... | 58 |

I. შესავალი

სამოქალაქო სამართლის განვითარების ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და დღესდღეობით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს - მემკვიდრობით სამართალს, ვინაიდან მასში შემავალი ნორმები განსაზღვრავენ გარდაცვლილი პირის ქონების მემკვიდრეებზე გადასვლის წესსა და ფარგლებს. მნიშვნელოვანია ის სამართლებრივი შედეგი, რომელიც პირის გარდაცვალების შედეგად შეიძლება დადგეს. სამართლებრივ შედეგში იგულისხმება ზემოაღნიშნული პირის უფლება-მოვალეობების (ვალდებულებების) გადასვლა მის მემკვიდრეებზე (რომელთა რიგში შესაძლოა აღმოჩნდეს სახელმწიფოც).

შესაბამისად, მემკვიდრეობითი სამართლის ნორმები უზრუნველყოფს ქონებრივი ურთიერთობების რეგულირებას იმ პირებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ მემკვიდრეებს ან მამკვიდრებლის კრედიტორებს.

სწორედ ადამიანის სიკვდილი იწვევს მემკვიდრეობითი ურთიერთობის წარმოშობას. ასეთ დროს, ადგილი აქვს არა მხოლოდ ცალკეული უფლებებისა და მოვალეობების, არამედ მათი ერთობლიობის გადასვლას მემკვიდრეებზე, რის გამოც მემკვიდრეობა წარმოადგენს საერთო და უნივერსალურ უფლებამონაცვლეობას.¹

მიუხედავად სამართლებრივი ნორმების სიმრავლისა, რომლებიც აწესრიგებენ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით ურთიერთობებს, ისინი სრულყოფილად მაინც ვერ უზრუნველყოფენ ყველა საკითხის რეგულირებას. სწორედ ამიტომ, მიინდა ყურადღება გავამახვილო მამკვიდრებლის კრედიტორთა მოთხოვნებზე და მემკვიდრეთა ვალდებულებებზე მათ მიმართ, რადგან ვფიქრობ, რომ მემკვიდრეობითი სამართლის ნორმების ზედაპირულობა და სიზუსტის ნაკლებობა ხელს უშლის კრედიტორს მამკვიდრებლის მიმართ არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაში.

მამკვიდრებლის კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების საკითხი აქტუალურია, რადგან დღითიდღე იზრდება იმ პირების (მოვალეების) რაოდენობა, რომლებსაც რაიმე სახის ვალდებულება (ფულადი, თუ სხვა სახის) გააჩნია სხვა პირის (კრედიტორის) მიმართ. ხოლო მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება ხშირად მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. საკითხის აქტუალურობას ხაზს უსვამს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით

¹ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999, 377.

არსებული არაერთი სასამართლო დავა, რომელსაც ქვემოთ აუცილებლად განვიხილავ.

მემკვიდრეობითი სამართლის არსებობა უმარტივეს კრედიტორებს მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში იმ პირების დადგენას, რომელთა მიმართაც მათ შეიძლება წარმოეშვათ მამკვიდრებლის მიმართ არსებული მოთხოვნის უფლება. რომ არა მემკვიდრეობითი სამართალი, კრედიტორებს არ ეცოდინებოდათ თუ ვისთვის მიემართათ თავიანთი საკრედიტო მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის.² თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ იმ პირების დადგენა, რომელთა მიმართაც კრედიტორს აქვს მოთხოვნის უფლება არ წყვეტს კრედიტორის პრობლემას, დაიკმაყოფილოს მისი მოთხოვნა. მნიშვნელოვანია ისეთი სამართლის შემუშავება, რომელიც პასუხს გასცემს იმ კითხვებს, რომლებიც წარმოიშობა მემკვიდრეთა მიერ, მამკვიდრებლის კრედიტორთა დაკმაყოფილების ეტაპზე. სამწუხაროდ, მოცემულ რეალობაში სამართალი უფრო მეტ კითხვას წარმოშობს, ვიდრე პასუხს.

იმისათვის, რომ გავიაზროთ მემკვიდრეობითი სამართლის პრობლემები მამკვიდრებლის კრედიტორთა დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით პირველ რიგში განვსაზღვროთ მემკვიდრეობითი სამართლის მნიშვნელობა.

II. მემკვიდრეობის მიღების ზოგადი წესები და მათი მნიშვნელობა მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესთა დაცვისათვის

1. მემკვიდრეობითი სამართალი, მისი სუბიექტები და ობიექტი

მემკვიდრეობის უფლება ადამიანის ბუნებითი უფლებაა, რომელიც მას დაბადებიდან გააჩნია.³ ადამიანის სიცოცხლეში წარმოშობილი ურთიერთობები მისი გარდაცვალების შედეგად არ იკარგება. პირის სიცოცხლეში არსებული ქონებრივი, ასევე ზოგიერთი პირადი სახის უფლებები გადადის სხვა პირებზე. სწორედ აღნიშნული უფლებებისა და მოვალეობების გადასვლას სხვა პირებზე ეწოდება მემკვიდრეობა, ხოლო მემკვიდრეობითი სამართალი ეწოდება სამოქალაქო სამართლის იმ ნაწილს, რომელიც აწესრიგებს მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.⁴ მემკვიდრეობის უფლება მისი შინაარსიდან და სამართლებრივი დატვირთვიდან გამომდინარე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი ასევე კონსტიტუციურ უფლებას წარმოადგენს. ადამიანის გარდაცვალება გარდაუვლად იწვევს მისი უფლებებისა და ვალდებულებების გადასვლას

² იხ. იქვე, 376.

³ იქვე, 367.

⁴ იქვე.

სხვა პირებზე. ის ფაქტი, რომ ქონება და ვალდებულებები, რომლებიც პირს გააჩნია სიცოცხლეში, აგრძელებს არსებობას მისი გარდაცვალების შემდეგაც, განაპირობებს მემკვიდრეობითი ურთიერთობების წარმოშობას. პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღების უფლება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად, საკუთრების უფლების მსგავსად აღიარებული და ხელშეუვალი უფლებაა.

მემკვიდრეობით სამართალურთიერთობის წარმოშობას განაპირობებს მამკვიდრებლის გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადება, რის შედეგადაც მისი კუთვნილი ქონება და ვალდებულებები გადადის ანდერძით, ან კანონით მემკვიდრეებზე.

კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია ზუსტად დავადგინოთ თუ ვინ წარმოადგენს გარდაცვლილი მოვალის მემკვიდრეს, რომელმაც შესაძლოა მიიღოს მამკვიდრებლის ქონება და მასთან ერთად მისი ვალდებულებები კრედიტორთა წინაშე.

მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტებს წარმოადგენენ - მამკვიდრებელი⁵ და მემკვიდრე.

მამკვიდრებელი არის პირი, რომლის გარდაცვალების შემდეგ მისი კუთვნილი ქონება მემკვიდრეობის წესით გადადის სხვა პირის ან პირთა საკუთრებაში და რომელიც აუცილებლად უნდა იყოს ფიზიკური პირი. იგი შეიძლება იყოს, როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე მოქალაქეობის არმქონე პირი და უცხოელი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე. თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც მამკვიდრებელი შეიძლება „აღმოჩნდეს“ ცოცხალი პირიც, რომელიც კანონით დადგენილი პირობების არსებობისას, სასამართლოს მიერ გამოცხადებულია გარდაცვლილად. კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს მამკვიდრებელი შეიძლება იყოს, როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი პირი, ასევე პირი, რომელიც ცნობილია მხარდაჭერის მიმღებს პირად. რაც შეეხება მამკვიდრებელს ანდერძისმიერი მემკვიდრეობისას, ის აუცილებლად უნდა იყოს სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირი. შეზღუდულ ქმედუნარიანი პირი არ სარგებლობს საანდერძო ქმედუნარიანობით. ასევე იურიდიული პირი არ შეიძლება იყოს მამკვიდრებელი.⁶

მამკვიდრებლის კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცესის მონაწილე მთავარ სუბიექტს წარმოადგენს მემკვიდრე, რომელსაც კანონით დადგენილი წესით შესაძლოა გადაეცეს მამკვიდრებლის ქონება. მემკვიდრე

⁵ თუმცა სადაოა რამდენად შეიძლება მამკვიდრებლის სუბიექტად მოსაზრება, აღნიშნულის შესახებ იხ. ბატონ შალვა ჩიკვაიშვილის მოსაზრება, ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999, სქოლიო 1, 378

⁶ იხ. ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999, 378-379.

შესაძლებელია იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი და ასევე სახელმწიფოც. მემკვიდრე დასაშვებია იყოს პირი, მიუხედავად მისი ქმედუნარიანობისა. მემკვიდრე შესაძლოა იყოს როგორც მოქალაქე, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცხოელიც კი.⁷

საზღვარგარეთის უმრავლესი ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებით თითქმის ერთნაირად არის განსაზღვრული იმ პირთა წრე, რომლებიც შეიძლება იყვნენ მემკვიდრეები. კანონისმიერი მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის და აგრეთვე მამკვიდრებლის შვილი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი დაიბადება. ანდერძით მემკვიდრეები კი შეიძლება იყვნენ ის პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა, ასევე იურიდიული პირები. ანდერძისათვის დამახასიათებელია მემკვიდრეთა კონკრეტულად განსაზღვრა. იმ პირის სასარგებლოდ შედგენილი ანდერძი, რომელიც შეიძლება დაიბადოს მომავალში, განუსაზღვრელ დროს, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. ანდერძით მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ აგრეთვე იურიდიული პირები.⁸

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ზუსტად განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც წარმოადგენენ კანონით მემკვიდრეებს. ქართული სამართალი იცნობს ხუთი რიგის მემკვიდრეს, რომელთაგან წინა რიგის თუნდაც ერთი მემკვიდრის არსებობის შემთხვევაშიც კი შემდგომი რიგის მემკვიდრეებისათვის დაუშვებელია მემკვიდრეობის მიღება. ანდერძით მემკვიდრეობის შემთხვევაში მამკვიდრებელი უფლებამოსილია ანდერძით ქონება დაუტოვოს ნებისმიერ პირს. „ანდერძი არის პირის განკარგულება მისი გარდაცვალების შემთხვევაში ქონების უფლებამონაცვლებზე გადაცემის შესახებ“.⁹ ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ანდერძის არარსებობის შემთხვევაში სამკვიდრო ქონებას მიიღებდა/მიიღებდნენ კანონით ზუსტად განსაზღვრული პირები და ისიც რიგითობის მკაცრი დაცვით, ანდერძის შემთხვევაში მოანდერძეს მემკვიდრედ თავისუფლად შეუძლია განსაზღვროს კანონით დადგენილი პირების გარდა სხვა ნებისმიერი პირიც, ასევე სწორედ ანდერძით მემკვიდრეობის შემთხვევაში შეიძლება გახდეს იურიდიული პირი მემკვიდრე.

ქართული სამართალი ასევე იცნობს უღირსი მემკვიდრის ცნებას, კანონით ზუსტად არის განსაზღვრული რა შემთხვევაში შეიძლება იქნას პირი

⁷ იხ. იქვე, 379-380.

⁸ იხ. იქვე.

⁹ შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), მეორე გამოცემა, გამომცემლობა «მერიდიანი», თბილისი, 2011, 17.

აღიარებული უღირს მემკვიდრედ და ჩამოერთვას მემკვიდრეობის უფლება. მემკვიდრეობის უფლება ჩამორთმეული სამკვიდრო ქონების წილი კი ნაწილდება დანარჩენა მემკვიდრეთა შორის, თანაბრად.

ზემოთ უკვე აღვნიშვე, რომ კრედიტორისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია მემკვიდრე პირების ვინაობის დადგენა, რადგან მან მოთხოვნა მამკვიდრებლის ვალდებულების შესრულების შესახებ წაუყენოს უფლებამოსილ პირს.

რაც შეეხება მემკვიდრეობის ობიექტს, იგი კანონით ზუსტად არის განსაზღვრული და წარმოადგენს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობას, რომლებიც მამკვიდრებელს გააჩნია სიკვდილის მომენტისათვის. სწორედ აღნიშნული ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების გადაცემა მემკვიდრესათვის იწვევს მის მიერ მამკვიდრებლის ვალდებულებების, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესრულების აუცილებლობას. კრედიტორთა ინტერესების დასაცავად მნიშვნელოვანია დავადგინოთ რა იგულისხმება ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებში და რა შეიძლება იყოს სამკვიდრო ქონება.

2. სამკვიდრო ქონება, სამკვიდროს გახნის დრო და ადგილი

სამკვიდრო - ეს არის არა მრავლისაღმნიშვნელი იურიდიული ტერმინი, არამედ კონკრეტული სამართლებრივი ცნება. სამკვიდრო ეს არის მამკვიდრებლის საკუთრების უფლებისა და მოვალეობების ერთობლიობა, რომლებიც კანონით დადგენილი წესის შესაბამისად გადაეცემათ სხვა პირებს (მემკვიდრეებს). საყურადღებოა, რომ საუბარია არა ნივთების ერთობლიობაზე, არამედ საკუთრების უფლებასა და მოვალეობებზე. გამომდინარე აქედან სამკვიდროს შემადგენლობაში შედის არა მაგალითად, ავეჯი, არამედ უფლება ავეჯზე.¹⁰ სამკვიდროს ცნება აღნიშნული განმარტების მსგავსად განისაზღვრება ქართულ სამართალშიც.

ვინაიდან მემკვიდრე მამკვიდრებლის არა მხოლოდ უფლებების, არამედ მოვალეობების მიმღებიცაა, ამიტომ სამკვიდრო აქტივი აუცილებლად მოიცავს მამკვიდრებლის, როგორც ქონებრივ უფლებებს (აქტივებს), ასევე ქონებრივ ვალდებულებებს (პასივებს), რომლებიც მამკვიდრებელს გააჩნდა კრედიტორების მიმართ და ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოასწრო ამ ვალდებულებების შესრულება.¹¹

ვინაიდან სამკვიდროს ცნება წარმოადგენს უფლებას ქონებაზე, უდიდესი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ამ უფლების წარმოშობის დროისა და

¹⁰ იხ. Барщевский М.Ю., Наследственное право, издание 2-е. Москва, ЗАО “Издательство “Белые альфы”, 1996, 18.

¹¹ იხ. ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999, 384.

ადგილის განსაზღვრას. იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რამდენი მემკვიდრეა სახეზე სამკვიდროს გახსნის დროს, კონკრეტულად ქონებისა და ვალდებულებების რა ნაწილი უნდა შევიდეს სამკვიდროს შემადგენლობაში, რა ვადა ეძლევათ კრედიტორებს მათი მოთხოვნების წაყენებისათვის და ა.შ. უნდა დადგინდეს სამკვიდროს გახსნის დრო, ასეთ დროდ კი ბუნებრივია მიჩნეულია მამკვიდრებლის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე. განსხვავებულად დგინდება სამკვიდროს გახსნის დრო კომლში. კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო იხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალებიდან, გარდაცვლილის მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ როგორც ანდერძით, ისე კანონით მემკვიდრეები, თუმცა ანდერძის დატოვების უფლება აქვს მხოლოდ კომლის ბოლო წევრს.¹²

გარდაცვალებით წყდება პირის უფლებაუნარიანობა. სწორედ აღნიშნული „პირობის“ დადგომასთან არის დაკავშირებული სამკვიდროს გახსნის ფაქტი. მამკვიდრებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც გარდაიცვალა ან სასამართლოს მიერ გამოცხადდა გარდაცვლილად. შესაბამისად სამკვიდროს გახსნის ფაქტი დაკავშირებულია არა მხოლოდ პირის გარდაცვალებასთან, არამედ სასამართლოს მიერ პირის გარდაცვლილად გამოცხადებასთანაც.

სულ სხვადგვარად წყდება საკითხი მაშინ, როდესაც პირი სასამართლოს მიერ აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად. აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა არ იწვევს მემკვიდრეობის გახსნას. ამ შემთხვევაში, მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას უგზო-უკვლოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების უფლებით, მათ შორის, მიიღონ მისაგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზო-უკვლოდ დაკარგულის კმაყოფაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალეები.¹³

მნიშველოვანია ასევე სამკვიდროს გახსნის ადგილისამყოფელის დადგენა, რომელიც შესაძლოა საერთოდ არ ემთხვეოდეს მამკვიდრებლის გარდაცვალების ადგილს. კანონის თანხმად სამკვიდროს გახსნის ადგილად მიჩნეულია მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი, მისი დაუდგენლობის შემთხვევაში, სამკვიდროს ადგილსამყოფელი. პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც სამკვიდრო იმყოფება სხვადასხვა ადგილას, ასეთ ვითარებაში გადამწყვეტია უძრავი ქონების ან მისი ფასეული ნაწილის, უძრავი ქონების არ არსებობის დროს კი, მოძრავი ქონების ან მისი ძირითადი ნაწილის მდებარეობა. არსებობს შემთხვევები, როდესაც საქართველოს

¹² ჩიტოშვილი თ. კომლი ქართულ სამართალში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2004, 84.

¹³ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999, 412-415.

მოქალაქე დროებით ცხოვრობდა საზღვარგარეთ და იქვე გარდაიცვალა. კანონის თანახმად ასეთ სიტუაციაში სამკვიდროს გახსნის ადგილს აუცილებლად წარმოადგენს მისი მოქალაქეობის ქვეყანაში, შესაბამისად საქართველოში ამ პირის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ საცხოვრებელი ადგილი ცნობილი არ არის, მაშინ სამკვიდროს ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელი, რაც არ გამოორიცხავს სამკვიდროს გახსნას საზღვარგარეთ.¹⁴

სამკვიდროს გახსნასთან დაკავშირებულია მემკვიდრეობითი ურთიერთობის წარმოშობა, რომლის შინაარსს შეადგენს მემკვიდრის უფლება მიიღოს სამკვიდრო ან უარი განაცხადოს სამკვიდრო ქონებაზე და არავის არა აქვს უფლება ხელი შეუშალოს მემკვიდრეებს ამ უფლების განხორციელებაში. უფრო მეტიც, ამ უფლებებთან დაკავშირებული კანონით უფლებამოსილი თანამდებობის პირები (ნოტარიუსი, კონსული, ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოების, სამხედრო სამსახურების, სოციალური დაცვის და ა.შ თანამდებობის პირები) ვალდებული არიან დახმარება აღმოუჩინონ მემკვიდრებს მემკვიდრეობით მიღებული უფლება-მოვალეობების განხორციელებაში.¹⁵

მემკვიდრე მამკვიდრებლისგან იღებს არა მხოლოდ მის უფლებას ქონებაზე¹⁶ არამედ მამკვიდრებლის ვალდებულებებსაც კრედიტორების წინაშე.

აშშ-ს სამართლის მიხედვით სამკვიდრო ქონება (ე.წ. გარდაცლილის ქონება, decedent's estate) არის ის რეალური და პერსონალური ქონება რომელსაც პირი ფლობს მის სიცოცხლეში. გარდაცლილი პირის ქონებასთან დაკავშირებით გარკვეული პირი აგროვებს გარდაცვლილი პირის კუთვნილ ქონებას და მას შემდეგ რაც დაფარავს ყველა იმ საკომიოს და ვალებს რაც გარდაცვლილს გააჩნდა დარჩენილ ქონებას უნაწილებს მემკვიდრეებს. მემკვიდრეებმა, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო უნდა დაფარონ ასევე ქონებასთან დაკავშირებული მიმდინარე საკომისიოები.

აღსანიშნავია, რომ სამკვიდროს დამტოვებლის ზოგიერთი ქონებრივი უფლება არ გადადის მემკვიდრეობით. ამ ქონებრივ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება საცხოვრებელი სახლით სარგებლობის უფლება. მართალია, სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების შემდეგ მისი ოჯახის წევრები განაგრძობენ საცხოვრებელი სახლით სარგებლობას, მაგრამ ეს არ ნიშნავს

¹⁴ იხ. ახვლედიანი ზ., ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000, 380-381.

¹⁵ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999, 481-482.

¹⁶ სამკვიდროს ცნება მოიცავს არა კონკრეტულ ქონებას, არამედ უფლებას ქონებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999, 385.

იმას, რომ მათ მემკვიდრეობით მიიღეს საცხოვრებელი სახლით სარგებლობის უფლება. აღნიშნული უფლება მისი პირადი უფლებათა და დაუშვებელია მისი გადაცემა მემკვიდრეობით. მემკვიდრეებს გადაეცემათ აღნიშნული ფართობით მხოლოდ სარგებლობის უფლება, რაც არ შედის სამკვიდროს შემადგენლობაში.¹⁷ სამკვიდროში არ შედის ასევე საგვარეულო წიგნები (ან ჩანაწერები), ოჯახური მატრიანე, სულის მოსახსიენებელი და სხვა საკულტო საგნები და საფლავი. ეს საგნები გადაეცემა მემკვიდრეს საკუთრების უფლებით დამკვიდრებული ჩვეულების მიხედვით. ამ საგნების მიღება შეუძლია იმ მემკვიდრესაც, რომელმაც უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე. დოკუმენტები, რომლებიც ეხება დამკვიდრებლის პიროვნებას, მის ოჯახს ან მთელ სამკვიდროს, რჩება საერთო ქონებად. კანონით განსაზღვრულია აღნიშნული ქონების ზუსტი ჩამონათვალი.

2.1 გაჩუქებული ქონების ჩართვა სამკვიდრო მასაში

მემკვიდრეები ვალდებული არიან მიღებული აქტივების ფარგლებში დააკმაყოფილონ დამკვიდრებლის კრედიტორთა მოთხოვნები. აქედან გამომდინარე კრედიტორის ინტერესებში შედის მემკვიდრეთა მიერ მიღებულ აქტივებში შევიდეს რაც შეიძლება მეტი ქონება, რათა მისი მოთხოვნის ფარგლები უფრო ფართო იყოს.

კრედიტორის ინტერესებისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1455-ე მუხლი, რომლის თანახმადაც სამკვიდროს გაყოფისას თითოეული მემკვიდრის წილში ჩაითვლება იმ ქონების ღირებულება, რომელიც მან საჩუქრის სახით მიიღო დამკვიდრებლისაგან სამკვიდროს გახსნამდე ხუთი წლის განმავლობაში. ამ მუხლზე დაყრდნობით თუკი სამკვიდროში არსებობს ასეთი სახის ქონება, მისი ღირებულება აუცილებლად უნდა გამოაკლდეს შესაბამისი მემკვიდრის მიერ მისაღები ქონების ღირებულებას და გადანაწილდეს დანარჩენ მემკვიდრეებზე, ამ მუხლის მოთხოვნის გათვალისწინება თავად მემკვიდრეებისთვის არის სარგებლის მომტანი, რამდენადაც კრედიტორთა მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, მათ შორის ვალდებულების შესრულების გადანაწილება მოხდება სამართლიანად.

სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით, რაც იმას გულისხმობს, რომ მჩუქებელი საკუთარი სურვილით განკარგავს მის საკუთრებას. მემკვიდრეს თავისუფლად შეუძლია

¹⁷ იხ. ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999, 392.

მამკვიდრებლის სიცოცხლეში მისგან მიღებული ქონება მართოს, განკარგოს და გაასხვისოს მისი სურვილის შესაბამისად.

რა თქმა უნდა სამკვიდრო ქონებაში არ შეიძლება ჩაითვალოს მემკვიდრის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე მამკვიდრებლისაგან მიღებული საჩუქრები, სწორედ ამიტომ კანონი სპეციალურ ვადას აწესებს, რომლის განმავლობაშიც მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლისაგან მიღებული საჩუქარი ჩაითვლება სამკვიდრო ქონებაში, ჩუქების მომენტიდან არ უნდა იყოს გასული 5 წელი.

მამკვიდრებლის მიერ გაჩუქებული ქონების სამკვიდრო მასაში ჩათვლასთან დაკავშირებით კიდევ ერთი დანაწესი გვხვდება სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1378-ე მუხლში. აღნიშნული მუხლი წარმოადგენს სავალდებულო წილის¹⁸ მიმღები პირის უფლებას. სავალდებულო წილის მიმღებ პირს შეუძლია მოითხოვოს მის მიერ მისაღები სამკვიდრო ქონების გაზრდა მამკვიდრებლის მიერ მის სიცოცხლეში მესამე პირზე გაჩუქებული ქონების ღირებულებით, თუმცა ჩუქების ფაქტიდან არ უნდა იყოს გასული 10 წელი. 10 წლის გასვლის შემდეგ სავალდებულო წილის მიმღები პირი კარგავს მისაღები სამკვიდრო ქონების გაჩუქებული ქონების ღირებულებით გაზრდის მოთხოვნის უფლებას.¹⁹

2.2 ანგლო-ამერიკული და კონტინენტური ევროპის ქვეყნების პრაქტიკა

ანგლო-ამერიკულის სიტემის მსგავსად გერმანულ იურისპრუდენციაც მიიჩნევს, რომ ანდერძი არის ცოცხალი ადამიანის გამოხატულება იმის შესახებ თუ, როგორ უნდა განიკარგოს მისი ქონება მისი გარდაცვალების შემდეგ. გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით, რომელსაც აწესებს კანონი, აღნიშნული გამოხატულება არის პირადი უფლების საგანი. საზოგადოებამ, როგორც წესი, შესაძლოა განსაზღვროს იმ ქონების ფარგლები, რომელიც შეიძლება გადაიცეს ანდერძით, ასევე შესაძლოა

¹⁸ სავალდებულო წილის მიმღები პირი არსებობს იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ანდერძი, ხოლო პირი, რომელიც კანონით მემკვიდრეს წარმოადგენს არ არის მოხსენიებული ანდერძში. ასეთ შემთხვევაში სავალდებულო წილის მიმღები პირი მიიღებს იმ ქონების ნახევსაც, რომელსაც მიიღებდა კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში, მამკვიდრებელს, რომ არ დაეტოვებინა ანდერძი. სავალდებულო წილს იცნობს ასევე გერმანული სამართალიც. აღნიშნულთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ: Klinger V., Frank J.H., International Probate: German, Continental rift, PS, THE MAGAZINE OF THE PRIVATE CLIENT SECTION, ISSUE 103, January 2013,25. (www.lawsociety.org.uk/privateclient, იხ. ბმულზე: <http://communities.lawsociety.org.uk/private-client/ps-magazine/older-editions/ps-january-2013/5044102.article> ან https://www.german-probate-lawyer.com/fileadmin/files/publikationen/Scan_aus_PS_Continental_rift.pdf)

¹⁹ ახვლედიანი ზ., ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000. 432.

მოიცვას ანდერძის აღსრულება ისეთი ფორმალურობებით ან შეზღუდვებით, რომლის გათვალისწინების სურვილიც ექნება.²⁰

რაც შეეხება ნაჩუქარი ნივთის სამკვიდრო მასაში ჩართვას, ამის შესახებ დანაწესს ქართული სამართლის მსგავსად გერმანული სამართალიც ითვალისწინებს. ქონება რომელიც არ არის დაკავშირებული მემკვიდრეობასთან შეიძლება ჩაითვალოს სამკვიდრო ქონებაში იმისათვის, რომ სწორად იქნას გამოთვლილი კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო წილი. მამკვიდრებლის მიერ მის სიცოცხლეში გაჩუქებული ქონება, მათ შორის ე.წ. „სატრასტო ფონდში“ გადარიცხული აქტივებიც ჩაითვლება სამკვიდრო ქონებაში სავალდებულო წილის გამოთვლისას. აღნიშნულთან დაკავშირებით მოქმედებს იგივე ვადები რაც ქართულ კანონმდებლობაში, მამკვიდრებლის მიერ ქონების გაჩუქებიდან არ უნდა იყოს გასული 10 წლის ვადა. ქართული სამართლის მსგავსად გერმანულ სამართალშიც სავალდებულო წილის მიღებაზე მოთხოვნა მასზე უფლებამოსილმა პირმა უნდა წააყენოს, მაგრამ ამისათვის მას 3 წლის ვადა აქვს განსაზღვრული, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამუდამოდ დაიხურება.²¹

3. სამკვიდროს მიღება, სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა

მემკვიდრე ითვლება სამკვიდრო მასის მფლობელად სამკვიდროს გახსნის მომენტიდან, თუნდაც მან არ იცოდეს ამის შესახებ.²² ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად მემკვიდრის ინფორმირებულობისა კანონში არსებული დანაწესის შესახებ, ის ითვლება სამკვიდროს მფლობელად, ოღონდ არა მესაკუთრედ, მამკვიდრებლის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შევლის დღიდან. სამკვიდრო ქონების საკუთრებაში მიღება სხვაგვარად წესრიგდება და ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

სამკვიდროს მიღება წარმოადგენს ნებელობითი ხასიათის აქტს, რომლის დროსაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მემკვიდრის სურვილს მიიღოს ან უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე. მემკვიდრის მიერ თანხმობის არარსებობისას სამკვიდრო მიღებულად არ ითვლება. თუ მემკვიდრე ქმედუუნარო ან შეზღუდული ქმედუუნარიანობის მქონე პირია, მისი სახელით

²⁰ ob. Wormser R. A., Burchard A., ADMINISTRATION OF GERMAN DECENTENTS' ESTATES, NOVEMBER 1943, 39. (იხილეთ ბმულზე:

https://scholarship.law.upenn.edu/cgi/viewcontent.cgi?article=8686&context=penn_law_review)

²¹ Klinger V., Frank J.H., International Probate: German, Continental rift, PS, THE MAGAZINE OF THE PRIVATE CLIENT SECTION, ISSUE 103, January 2013, 24-25. (

www.lawsociety.org.uk/privateclient, ob. ბმულზე: <http://communities.lawsociety.org.uk/private-client/ps-magazine/older-editions/ps-january-2013/5044102.article> ან https://www.german-probate-lawyer.com/fileadmin/files/publikationen/Scan_aus_PS_Continental_rift.pdf)

²² ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, (მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა), გამომცემლობა „მეცნიერება“, 2003, 66.

სამკვიდროს იღებენ მისი კანონიერი წარმომადგენლები (მშობლები, მშვილებლები, მეურვეები, მზრუნველები).²³

როგორც ო. ე. ბლინკოვი აღნიშნავს, რომანულ-გერმანულ სამართლის სისტემასა, (რომელსაც განეკუთვნება საქართველოც) და ანგლოსაქსურ მემკვიდრეობით-სამართლებრივ სისტემებს შორის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ კონტინენტურ სამართლებრივ სისტემაში მემკვიდრეობა უნივერსალურ უფლებამონაცვლებას წარმოადგენს, როდესაც მამკვიდრებლის უფლებები და მოვალეობები გადადის უშუალოდ მემკვიდრეებზე, მაშინ როდესაც ანგლოსაქსური სამართლის სისტემაში მამკვიდრებლის ქონება ჯერ გადაეცემა მინდობილი მესაკუთრის სახით, განსაკუთრებულ პირს (ე.წ. მამკვიდრებლის პირად წარმომადგენელს), რომელიც ახორციელებს მემკვიდრეობის ლიკვიდაციის პროცედურას, რის შედეგადაც მემკვიდრეებს გადაეცემათ სამკვიდრო ქონების ის ნაწილი, რომელიც რჩება მამკვიდრებლის კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ.²⁴

საერთო ანუ უნივერსალური უფლებამონაცვლებისას ადგილი აქვს მთელი სამკვიდრო ქონების გადაცემას ერთდროულად ყველა მემკვიდრისათვის. კერძო ანუ სინგულარული უფლებამონაცვლებისას კი ცალკეული მემკვიდრეობის უფლების გადაცემას კონკრეტული მემკვიდრეებისათვის. ამავე დროს, როგორც უნივერსალური, ისე სინგულარული უფლებამონაცვლებისას არ დაიშვება მემკვიდრის შეხედულებითა და ნება-სურვილით რომელიმე უფლების მიღება ან მასზე უარის თქმა, რაც იმას ნიშნავს, რომ მემკვიდრე, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, ვალდებულია მიიღოს ყველა უფლება ერთად ან ყველაზე ერთად განაცხადოს უარი. მემკვიდრის მიერ რომელიმე კონკრეტული უფლების მიღება ავტომატურად იწვევს მის მიერ დანარჩენი უფლებების მიღებასაც.²⁵ მემკვიდრეს არ აქვს უფლება მიიღოს სამკვიდროში შემავალი, მხოლოდ მისთვის სასურველი უფლებები და უარი განაცხადოს დანარჩენი უფლებების მიღებაზე.

²³ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999, 481-481.

²⁴ Блинков О.Е., Раздел наследства в государствах-участниках Содружества Независимых Государств и стран Балтии, журнал „Актуальные вопросы адвокатской практики“, М., 2009, №4, Стр. 13. ციტირებულია: კობრიძე ლ., ზოგიერთი სამოქალაქოსამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N2, 2014, 13 (<http://www.supremecourt.ge/publications/>, იხ. ბმულზე: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martmsajuleba-da-kanoni-2014w-n2.pdf>) [ვიზიტის დრო: 13.04.2019]

²⁵ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999, 377.

თავისი სამართლებრივი ბუნებით სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა. იგი ისეთი იურიდიული მოქმედებაა, რომელიც გამოხატავს სამკვიდროს მიღების სურვილს, მემკვიდრის ნებას. სამკვიდროს მიღება ნიშნავს, რომ სამკვიდრო მემკვიდრემ შეიძინა.²⁶ სამკვიდროს მისაღებად კანონი მემკვიდეებს აძლევს ორი სახის შესაძლებლობას: მიმართონ განცხადებით სანოტარო ორგანოს სამკვიდროს მიღების თაობაზე, ანდა მეორე, ძალზედ მნიშვნელოვანი შემთხვევა, შეუდგნენ სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობასა და მართვას. ფაქტობრივი ფლობა წარმოადგენს ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველს.

„ცხოვრებაში მესაკუთრისა და მფლობელის ხშირი თანხვედრის გარემოებითაა განპირობებული ის ფაქტი, რომ რომის სამართლის ეპოქიდან მოყოლებული, სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთრების უფლების შექმნის ზოგიერთი თავდაპირველი საშუალების არსს ნივთის ფლობის ფაქტი შეადგენს“.²⁷ ფაქტობრივ ფლობაში მოიაზრება სხვადასხვა შესაძლო გზით განხორციელებული შემთხვევები, რომლებიც არის მაგალითად: მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრის ცხოვრება, იმავე საცხოვრებელ სახლში, რომელშიც მამკვიდრებელი ცხოვრობდა, ამასთან ცხოვრების ხანგრძლივობას არ აქვს მნიშვნელობა. ასევე მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის ნივთების თავისთან გადატანა. ისეთ მოქმედებად, რომელიც ცხადყოფს სამკვიდროს მიღების ფაქტს უნდა ჩაითვალოს აგრეთვე სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა სამკვიდროს გაყოფის შესახებ.²⁸

სამკვიდროს ფლობასა და მართვასთან დაკავშირებით, ლოგიკურად იბადება კითხვა რა იგულისხმება სამკვიდრო ქონების ფაქტობრივ ფლობასა და მართვაში? აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა დაეხმარება კრედიტორს განსაზღვროს თუ ვინ შეუდგა მამკვიდრებლის ქონების ფლობასა და განკარგვას და ვისთან შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნის უფლება. აღნიშნული ცნების ქვეშ იგულისხმება მემკვიდრის ისეთი მოქმედება, რომელიც მიმართულია სამკვიდროს ქონების სარგებლობის, ფლობისა და გაკრავის, ან ქონების ნორმალურ მდგომარეობაში ყოფნისა და სავალდებულო და სხვა გადასახადების გადახდისაკენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, საქმე ეხება ისეთ მოქმედებებს, რომლებიც გვამლევენ საფუძველს ვიფიქროთ, რომ მემკვიდრე ისევე ეპყრობა სამკვიდრო ქონებას, როგორც თავისას. მემკვიდრის მიერ

²⁶ ახვლედიანი ზ., ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000, 476.

²⁷ ქოჩაშვილი ქ., მფლობელობა და საკუთრება - ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, გამომცემელი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2015, 19.

²⁸ ახვლედიანი ზ., ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000, 468.

სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა, სამკვიდრო ქონების გაყოფის თაობაზე, უთანაბრდება სამკვიდრო ქონების მიღებას.²⁹

სამკვიდროს მიღება ატარებს უნივერსალურ ხასიათს და ვრცელდება მთელ სამკვიდრო ქონებაზე, ვის გამგებლობაში არ უნდა იყოს და რაშიც არ უნდა გამოიხატებოდეს იგი. სამკვიდრო ქონების სხვადასხვა ადგილზე ყოფნის შემთხვევაში, სამკვიდროს მიღების უფლება ხორციელდება არა მხოლოდ სამკვიდროს გახსნის ადგილას მყოფი ქონების მიმართ, არამედ ყველა სხვა ქონების მიმართ, მათი მდებარეობის მიუხედავად.³⁰

ბუნებრივია სამკვიდროს მიღება დაშვებულია წარმომადგენლის მემკვიდრითაც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის 1 და მე-2 ნაწილების თანახმად შვიდიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანი, ასევე სრულწლოვანი, რომელსაც სასამართლო დაუწესებს მზრუნველობას, არის შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან ბუნებრივია ასეთი პირების მიერ გარკვეული სამართლებრივი მოქმედებების დამოუკიდებლად განხორციელება შეუძლებელია, შესაბამისად ქმედუნარო და შეზღუდულ ქმედუნარიანი პირების შემთხვევაში სამკვიდროს მისაღებად, რაზეც შემდგომ მამკვიდრებლის კრედიტორთა მოთხოვნების შესრულებაც არის გარვეულწილად დამოკიდებული, წარმომადგენლის ყოლა სავალდებულოც კი არის.

კანონით სამკვიდროს მიღების ზოგად ვადად დადგენილია სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვე, ამავე ვადის განმავლობაში მემკვიდრეებს ეკრძალებათ სამკვიდროს განკარგვა. თუკი მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გადაცილების მიზეზი იქნება საპატიო, სასამართლოს შეუძლია სამკვიდროს მიღების ვადა ასეთ შემთხვევაშიც გააგრძელოს. სამკვიდროს გახსნის დღიდან 6 თვის გასვლამდე ნოტარიუსს შეუძლია გასცეს მოწმობა მამკვიდრებლის ქონების მართვის შესახებ, რომლის თანახმადაც მემკვიდრეს შეეძლება მოითხოვოს ინფორმაცია სხვადასხვა საფინანსო ორგანოდან ან/და სხვადასხვა დაწესებულებიდან მამკვიდრებლის ვალდებულებების შესახებ, განახორციელოს ყოველთვიური შენატანები მამკვიდრებლის სესხებზე, მოითხოვოს მამკვიდრებლის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული/დაგირავებული ქონების იპოთეკისაგან ან გირავნობისაგან განთავისუფლება, იმ შემთხვევაში თუ სრულად დაიფარება აღნიშნული საგნებით უზრუნველყოფილი ვალდებულებები. ეს მოწმობა უფლებას აძლევს მასში მოხსენებულ პირს

²⁹ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999, 483-484.

³⁰ იქვე, 482.

მართოს სამკვიდრო ქონება სამკვიდრო მოწმობის მიღებამდე, მაგრამ მოწმობის მიღებამდე მას არ აქვს სამკვიდრო ქონების გასხვისების, უფლებრივად დატვირთვის ან/და სხვაგვარად განკარგვის უფლება. განსაკუთრებულ შემთხვევებში დასაშვებია აღნიშნულისაგან განსხვავებული ვადებიც, მაგალიდათ, როდესაც სამკვიდროს მიღების უფლება წარმოიშვება იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა მემკვირე სამკვიდროს არ მიიღებს, ამ შემთხვევაში სამკვიდროს მიღება უნდა მოხდეს სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადიდან დარჩენილ დროში, თუ აღმოჩნდება, რომ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის დარჩენილი ნაწილი სამ თვეზე ნაკლებია, მას ეს ვადა აუცილებლად უნდა გაუგრძელდეს სამ თვემდე.

მამკვიდრებელს ანდერძით შეუძლია განსაზღვროს ანდერძის აღმსრულებელი პირი. რომელიც შეიძლება იყოს, როგორც მემკვიდრე ისე მესამე პირიც. ასევე ანდერძის აღმსრულებლად შეიძლება დაინიშნოს, როგორც ერთი ისე რამდენიმე პირი. ანდერძის მმართველი პირის მოვალეობაა სამკვიდროს გახსნის დღიდან შეუდგეს ანდერძის მართვა და დაცვას, ასევე შეასრულოს ყველა მოქმედება, რომელიც აუცილებელია ანდერძის აღსასრულებლად. იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს იტყვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მემკვიდრეებს, თუმცა მას არ აქვს უარის თქმის დასაბუთების ვალდებულება. რაც შეეხება ანდერძის აღსრულებას, აღმსრულებელს შეიძლება დაევალოს, როგორც ანდერძის სრულად, ისე მისი ნაწილობრივ აღსრულება. იმ შემთხვევაში, თუ ანდერძით არ იქნება დანიშნული აღმასრულებელი პირი, მისი აღსრულების ვალდებულება ეკისრებათ მემკვირეებს. ვფიქრონ ანდერძის აღმსრულებლის ინსტიტუტის არსებობა მამკვიდრებლის კრედიტორთა მოთხოვნის უფლებების დაცვის ერთგვარ მექანიზმად შეიძლება აღიქვას, აღნიშნულთან დაკავშირებით ჩემს მოსაზრებას ქვემოთ უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ.³¹

სამკვიდროს მიღება არ წარმოადგენს მემკვიდრეთა ვალდებულებას. როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრეები უფლებამოსილი არიან ცალმხრივი გარიგებით უარი განაცხადონ სამკვიდროს მიღებაზე. ვალდებულება, რომელსაც კანონი მათ ასეთ შემთხვევაში აკისრებს, არის ის, რომ მათ უნდა მიმართონ განცხადებით სანოტარო ორგანოს სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ სამი თვის მანძილზე იმ მომენტიდან, როდესაც მათ შეიტყვეს ან უნდა შეეტყვოთ სამკვიდროს მისაღებად მათი მოწვევის შესახებ. სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა არანაირ საფრთხეს არ უქმნის კრედიტორთა

³¹ ანდერძის აღმასრულებელთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით შეგიძლიათ იხილოთ: ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999, 479 და შემდგომი.

მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ვინაიდან მათი მოთხოვნის უფლება უცვლელი დარჩება სამკვიდროს ნებისმიერი მიმღების მიმართ.

სამოქალაქო კოდექსი მკაცრია მემკვიდრის უფლებასთან უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე და ამისათვის განსაკუთრებულ პირობას აწესებს. აღნიშნული პირობა ეხება სამკვიდრო წილზე უარის თქმის შეუქცევად ხასიათს. კერძოდ, სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანა სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ, უარის მთქმელ პირს ართმევს უფლებას, შეცვალოს გადაწყვეტილება სამკვიდრო წილთან მიმართებაში. თუ მემკვიდრე სამკვიდროდან წილის მიღებაზე უარს იტყვის სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, ასეთი მოქმედება ჩაითვლება სამკვიდროს მიღებად.³²

აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ მემკვიდრეები არ არიან უფლებამოსილი უარი განაცხადონ ანდა მიიღონ სამკვიდროს მხოლოდ ნაწილი. ისინი ვალდებული არიან სამკვიდროს მიღების სურვილის შემთხვევაში მთლიანად მიიღონ სამკვიდრო, ხოლო მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, უარი განაცხადონ მთლიანად სამკვიდროზე. მაგალითად მემკვიდრეს არ აქვს უფლება სამკვიდროდან მიიღოს მხოლოდ ავტომობილი და უარი თქვას უძრავი ქონების მიღებაზე იმ მოტივით, რომ უძრავი ქონება უფრო ძვირად არის შეფასებული და მისი მიმღები იქნება ვალდებული გაისტუმროს მამკვიდრებლის ვალები, რადგან უფრო მეტი ქონება მიიღო. მემკვიდრე იღებს ქონება სრულად, ან არ იღებს არაფერს. ქონების სრულად მიღება გულისხმობს სამკვიდრო ქონებიდან მისი წილის სრულად მიღებას, რომელშიც შედის, როგორც მამკვიდრებლის აქტივები, ისე პასივები.

მემკვიდრე, როგორც წესი, სამკვიდროს მიღებაზე უარს ამბობს კონკრეტული პირის სასარგებლოდ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეთა რიცხვიდან. თუმცა არ არის გამორიცხული, ასეთ უარს არ ჰქონდეს კონკრეტული მისამართი, ანუ არ იყოს გარკვეული პირი, ვის სასარგებლოდაც არის ნათქვამი უარი. ასეთ შემთხვევაში, ის წილი, რომელზედაც გაცხადებულია უარი, შეემატება მემკვიდრეებად მოწვეულ კანონით მემკვიდრეთა წილს. თუ სამკვიდროზე უარის მთქმელი მემკვიდრე ერთადერთია მოცემული რიგის მემკვიდრეთა შორის, სამკვიდრო გადადის მომდევნო რიგის მემკვიდრეებზე. უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე დასაშვებია არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე მემკვიდრის სასარგებლოდაც. ასეთ დროს შესაძლებელია უარის მთქმელმა მემკვიდრემ აღნიშნოს თითოეულის წილზე. თუ ასეთი მითითება არ არსებობს, სამკვიდრო წილი თანაბრად განაწილდება მემკვიდრეებზე, რომელთა სასარგებლოდაც სამკვიდროს მიღებაზე უარი იყო ნათქვამი.³³

³² ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999, 490.

³³ იქვე, 489-490.

რაც შეეხება ქმედუნარო ან შეზღუდულ ქმედუნარიანი პირის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმას, ასეთი დაიშვება მხოლოდ სასამართლოს ნებართვით. კანონით დაშვებულია სამკვიდროზე უარის თქმა წარმომადგენლის მეშვეობით, თუ დავალებაში (მინდობილობაში) სპეციალურად არის გათვალისწინებული უფლებამოსილება უარის თქმის შესახებ. არ დაიშვება სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ნაწილობრივ, რაიმე დათქმით ან ვადით. კანონით დადგენილია, რომ მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ნაწილზე უარის თქმა ან რაიმე პირობაზე დათქმა, ითვლება მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმად, თუმცა, ამ წესიდან არსებობს გამონაკლისიც.³⁴

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1500-ე მუხლში საუბარია იმაზე, რომ სამკვიდრო მოწმობა ნოტარიუსის მიერ უნდა გაიცეს აუცილებლად სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ, თუმცა დასაშვებია ეს მოხდეს ექვს თვეზე ადრეც, თუ ნოტარიუსს მოეპოვება ცნობა, რომ მოწმობის მთხოვნელ პირთა გარდა სხვა მემკვიდრეები არ არიან. თუმცა საეჭვოა, რეალურად რამდენად შესაძლებელია ამ დანაწესის პრაქტიკაში შესრულება, ნოტარიუსის მიერ ასეთი დოკუმენტის მოპოვება და სამკვიდრო მოწმობის გაცემის რისკზე წასვლა. აქვე აღსანიშნავია, რომ სამკვიდრო მოწმობის მიღების ვადა, ანუ, 6 თვის გასვლის შემდეგ რამდენ ხანში უნდა მიმართოს მემკვიდრემ სანოტარო ორგანოს მოწმობის მისაღებად, ამ ვადის არც მინიმუმს და არც მაქსიმუმს კანონი არა ადგენს. ამიტომ მემკვიდრეს უფლება აქვს ექვსი თვის გასვლის შემდეგ ნებისმიერ დროს წარადგინოს მოთხოვნა სამკვიდრო მოწმობის მიღების შესახებ.³⁵

3.1 ანგლო-ამერიკული და კონტინენტური ევროპის ქვეყნების მიდგომა

საინტერესოა ანგლო-ამერიკული და კონტინენტური ევროპის ქვეყნების მიდგომა მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. ფრანგულმა მემკვიდრეობითმა სამართალმა არც თუ ისე დიდი ცვლილებები განიცადა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის განმავლობაში, თუმცა უნდა აღინიშნოს გარკვეული თავისებურებები, რომლების აღნიშნულ მემკვიდრეობით სამართალს ახასიათებდა მოცემულ პერიოდამდე. როგორც ვიცით ქართული სამართალი პირველი რიგის მემკვიდრედ მიიჩნევს გარდაცვლილი პირის მეუღლეს, შვილებსა და მშობლებს. საინტერესოა ფრანგული სამართლის მიდგომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მე19-მე-20 საუკუნეებში. გარდაცვლილი პირის მეუღლე არც ისე დიდი პრივილეგიებით სარგებლობდა იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე არ იყო ანდერძი. იმ

³⁴ იქვე, 491.

³⁵ იხ. ჩიტოშვილი თ., უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, გამომცემლობა „მერიდიანი, თბილისი, 2006, 50-52.

პერიოდში სოციალური ნორმები ეწინააღმდეგებოდნენ ერთი ოჯახის აქტივების გადასვლას სხვა ოჯახის ხელში და მიაჩნდათ, რომ ცოცხლად დარჩენილი მეუღლის უფლებები უნდა გაწერილიყო საქორწინო კონტრაქტში. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გარკვეული ცვლილებები შევიდა კანონში და გარდაცვლილი პირის მეუღლეს გარანტირებულად შეეძლო მიეღო სამკვიდრო ქონების მეოთხედი. ფრანგული სამართალი, ასევე, არც ისე სახარბიელო მდგომარეობაში აყენებდა არაკანონიერი შვილების უფლებას სამკვიდრო ქონებაზე. იმ შემთხვევაში თუ გარდაცვლილ პირს ჰყავდა კანონიერი შვილები უკანონო შვილს შეეძლო მიეღო იმ სამკვიდრო ქონების მესამედი, რომელსაც იგი მიიღებდა, რომ ყოფილიყო კანონიერი შვილი. ხოლო ეს წილი გაიზრდებოდა ნახევრამდე იმ შემთხვევაში თუ გარდაცვლილს არ ეყოლებოდა მემკვიდრეები, მაგრამ დარჩებოდა ახლო ნათესავები, ხოლო ახლო ნათესავებისა და მემკვიდრეების არყოლის შემთხვევაში უკანონო შვილის მიერ მისაღები წილი გაიზრდებოდა სამ-მეოთხედამდე. მეოცე საუკუნის ბოლოს საფრანგეთის კანონმა განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილება და გარდაცვლილი პირის ყველა შვილი ჩაითვალა თანაბარი უფლებების მქონე მემკვიდრედ.³⁶

ქართული სამართალი ყველაზე ახლოსაა გერმანულ მემკვიდრეობით სამართალთან. იმ შემთხვევაში თუ სახეზე არ არის ანდერძი გარდაცვლილის ნათესავები, განსაკუთრებით მისი შვილები და ცოცხალი მეუღლეები არიან პირველი რიგის მემკვიდრეები. ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მიერ სამკვიდრო ქონებიდან მისაღები წილი განისაზღვრება ქორწინებაში არსებული ქონებიდან გამომდინარე, ხოლო შვილები იღებენ დარჩენილ ქონებას თანაბრად. იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილმა პირმა მის სიცოცხლეში რაიმე ქონება აჩუქა ერთ-ერთ შვილს, დანარჩენ შვილებს შეუძლიათ მოითხოვონ საჩუქრის ღირებულების შესაბამისად მიღებული მემკვიდრეობის გათანაბრება.³⁷

გერმანული მემკვიდრეობითი სამართლის მიხედვით გარდაცვლილი პირის ქონება მისი გარდაცვალების მომენტიდან პირდაპირ გადაეცემა მის მემკვიდრეებს. გერმანული სამართლის მიხედვით იგივე დანაწესი მოქმედებს გარდაცვლილი პირის ვალდებულებებზეც. შესაბამისად, გერმანიაში აქტივების გარდა მემკვიდრემ ასევე შესაძლოა მემკვიდრეობით

³⁶ იხ. Inheritance Laws in the Nineteenth and Twentieth Centuries, (France • Germany • United States), The Law Library of Congress, March 2014, 4-5. (იხ. ბმული:

<https://www.loc.gov/law/help/inheritance-laws/historical-inheritance-laws.pdf>)

³⁷ იხ. Klinger V., Frank J.H., International Probate: German, Continental rift, PS, THE MAGAZINE OF THE PRIVATE CLIENT SECTION, ISSUE 103, January 2013, 24-25.

(www.lawsociety.org.uk/privateclient, იხ. ბმულზე: <http://communities.lawsociety.org.uk/private-client/ps-magazine/older-editions/ps-january-2013/5044102.article> ან https://www.german-probate-lawyer.com/fileadmin/files/publikationen/Scan_aus_PS_Continental_rift.pdf).

მიიღოს ვალეზი. მაგრამ გერმანიაში ასევე შესაძლებელია მემკვიდრეობაზე უარის თქმაც. ამერიკისა და გერმანიის სამართალი ერთმანეთისაგან განსხვავდება. გერმანიაში არ არსებობს სასამართლოს მიერ კონტროლირებადი გარდაცვლილი პირის ქონების ადმინისტრატორი. გერმანული სამართლის მიხედვით ანდერძით შესაძლებელია დასახელდეს ანდერძის აღმასრულებელი, თუმცა ძირითადად ასე არ ხდება. გერმანული სამართალი არ იცნობს მინდობილ საკუთრებას, შესაბამისად არ ინიშნება პირი, რომელიც განკარგავს გარდაცვლილის ქონებას.

ანგლო-ამერიკული სამართალი რადიკალურად განსხვავდება კონტინენტური ევროპის სამართლისაგან, იგი არ იცნობს სამკვიდრო ქონების პირდაპირ მემკვიდრეებისათვის გადაცემის პრაქტიკას. ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში პირის გარდაცვალების შემდეგ სასამართლო ნიშნავს სამკვიდრო ქონების ადმინისტრატორს ან ანდერძის აღმასრულებელს, რომელიც ვალდებულია განკარგოს გარდაცვლილი პირის ქონება, უზრუნველყოს ყველა კრედიტორის დაკმაყოფილება და მხოლოდ ამის შემდეგ გადასცეს დარჩენილი ქონება შესაბამის მემკვიდრეებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მანამ სანამ ადმინისტრატორი ან აღმასრულებელი არ შეასრულებს მისთვის დაკისრებულ ვალდებულებას, მემკვიდრეს არ აქვს უფლება მიიღოს სამკვიდრო ქონება.³⁸

3.2 ქართული სასამართლო პრაქტიკა

როგორც ვთქვით სამკვიდროს მიღებისათვის კანონით დადგენილია 6 თვიანი ვადა, რომლის გაშვების შემთხვევაშიც მემკვიდრეს ერთმევა სამკვიდროს მიღების უფლება, გარდა შემთხვევისა, როდესაც საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში მემკვიდრეს განესაზღვრება დამატებითი ვადა, აღნიშნული ვადების დაცვა კრედიტორისათვისაც მნიშვნელოვანია, რადგან სამკვიდროს მიღების პროცესის სწორად და დადგენილი წესების შესაბამისად განხორციელების შედეგად, კრედიტორის შანსები, სრულად დაიკმაყოფილოს მოთხოვნა, უფრო დიდია. საინტერესოა საქართველოს სასამართლო პრაქტიკა სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებით. სამკვიდროს მიღების დამატებითი ვადის განსაზღვრის დროს მნიშვნელოვანია ობიექტურად შეფასდეს „საპატიო მიზეზის არსებობა“, რადგან სასამართლოს მხრიდან ყველა მოცემულობის, საპატიო მიზეზად ჩათვლის შემთხვევაში მივიღებთ არასახარბიელო მოცემულობას. ამას მემკვიდრეების თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენებენ, რათა ხელი შეუშალონ კრედიტორთა

³⁸ უფრო მეტი ინფორმაციისთვის იხ. Wormser R. A., Burchard A., ADMINISTRATION OF GERMAN DECEDENTS' ESTATES, NOVEMBER 1943, იხილეთ ბმულზე: https://scholarship.law.upenn.edu/cgi/viewcontent.cgi?article=8686&context=penn_law_review, 40-41.

მოთხოვნის დაკმაყოფილებას. საინტერესოა უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით. ერთ-ერთ საქმეზე სადაც მოსარჩელეს წარმოადგენდა პირი, რომელიც სამკვიდროს გახსნის დროს არ იმყოფებოდა საქართველოში, იგი არალეგალურად ცხოვრობდა იტალიაში და მისგან დამოუკიდებელი მიზეზით ვერ შეძლო სამკვიდროს მიღება. საყურადღებოა, რომ მამკვიდრებელი გარდაიცვალა 2009 წელს, ხოლო მემკვიდრემ მინდობილობა, სამკვიდროს მიღების შესახებ გასცა მხოლოდ 2011 წელს, ეს სააპელაციო სასამართლოდ შეაფასა, როგორც მემკვიდრის პირველი ქმედება სამკვიდროს მისაღებად და შესაბამისად, სასამართლოს უნდა დაედგინა 2009 წელსა და 2011 წელს შორის მემკვიდრის უმოქმედობის საპატიო ხასიათი.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ მოსარჩელე იტალიაში იმყოფებოდა არალეგალურად იგი ვერ მიმართავდა ოფიციალურ ორგანოებს მინდობილობის გასაცემად. შესაბამისად, იგი ყველანაირად, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მოკლებული იყო სამკვიდროს მიღების შესაძლებლობას.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება და დაადგინა, რომ საზღვარგარეთ არალეგალურად ყოფნის ფაქტი თავისთავად არ შეიძლება, მიჩნეულ იქნეს სამკვიდროს მიღების ვადის საპატიოდ გაშვების ერთადერთ საფუძვლად.³⁹

მეორე საქმეზე მოსარჩელემ სარჩელი აღძრა და მოითხოვა სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გასვლის საპატიოდ მიჩნევა და ამ ვადის გაგრძელება იმ საფუძვლით, რომ პირველი მოსარჩელე 2008 წლიდან არალეგალურ შრომით ემიგრაციაში იმყოფებოდა საბერძნეთში, ხოლო მეორე მოსარჩელე უსინათლოა. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი დააკმაყოფილეს. საკასაციო სასამართლომ კი განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს განმარტება სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ დაუსაბუთებელი იყო, რადგან ორივე მოსარჩელისათვის ცნობილი იყო მამკვიდრებლის გარდაცვალებისა და სამკვიდროს გახსნის შესახებ. აღნიშნულ საქმეზეც მოსარჩელებს სამკვიდროს მიღების ვადის გასვლის შემდეგ დანიშნული ჰყავდა მინდობილი პირები, რომელთაც უნდა განეხორციელებინათ სამკვიდროს მიღება. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ თუ მემკვიდრეობის

³⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ივნისის განმარტება საქმეზე Nსს-421-398-2014 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>), მითითებულია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებზე (2014 წლის II ნახევარი - 2015 წელი), თბილისი, 2017, 100-101 (იხ. ბმულზე: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ertgvarovani-praktika-samoqalaqo.pdf>)

მიუღებლობის მიზეზი არსებობდა სამკვიდროს გახსნამდე და ეს გარემოება მემკვიდრეობის ვადის გასვლის გაგრძელების მოთხოვნისას არ აღმოფხვრილა, სრულყოფილად უნდა იქნეს გამოკვლეული, თუ რა უშლიდათ ხელს მოსარჩელებს ექვსთვიან ვადაში მიეღოთ სამკვიდრო.⁴⁰ აღნიშნული სასამართლო პრაქტიკა, მნიშვნელოვანია, რადგან სასამართლო უფლებას არ აძლევს მემკვიდრეს, რომელმაც დაუსაბუთებელი მიზეზების გამო გაუშვა სამკვიდროს მიღების ვადა, გაახანგრძლივოს აღნიშნული ვადა და ამით ზიანი მიადგეს, როგორც არსებულ მემკვიდრეებს, ასევე კრედიტორებსა და ზოგადად მემკვიდრეობითი სამართლის პრინციპებს.

III. მემკვიდრეთა მიერ კრედიტორთა დაკმაყოფილება

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ სამკვიდროს გახსნა ავტომატურად არ იწვევს სამკვიდრო ქონების მემკვიდრეებზე გადასვლას. ამისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამკვიდროს მიღება კანონით ან ანდერძისმიერ მემკვიდრეთა მხრიდან.⁴¹ პირს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, ამ შემთხვევაში იგი, რა თქმა უნდა, აღარც მამკვიდრებლის ვალების გადახდაზე იქნება პასუხისმგებელი. მსჯელობისას უკვე აღვნიშნე, რომ მემკვიდრეს არ შეუძლია მიიღოს მხოლოდ მამკვიდრებლის აქტივები და უარი თქვას პასივების მიღებაზე, იგივე დანაწესი მოქმედეს ამ შემთხვევაშიც, კრედიტორი ვერ მოითხოვს მემკვიდრისაგან მამკვიდრებლის ვალდებულების შესრულებას, იმ შემთხვევაში თუ მემკვიდრემ უარი თქვა მემკვიდრეობაზე. ეს ლოგიკურიცაა, რადგან ქართული კანონმდებლობით მემკვიდრე პასუხისმგებელია მამკვიდრებლის კრედიტორთა დაკმაყოფილებაზე მიღებული სამკვიდროს ფარგლებში, ხოლო თუ სახეზე არ არის მიღებული სამკვიდრო შესაბამისად ზედმეტია საუბარი კრედიტორის მოთხოვნის სამკვიდროს ფარგლებში დაკმაყოფილებაზე.

1. მემკვიდრეთა ვალდებულებები მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე

ვალდებულების სუბიექტები მასში მონაწილე პირები არიან, რომლებიც იწოდებიან კრედიტორად და მოვალედ. კრედიტორი ვალდებულების ის მხარეა, რომელსაც განსაზღვრული მოქმედების შესრულების მოთხოვნის

⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 დეკემბრის განმარტება საქმეზე Nას-655-621-2015 (<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>), მითითებულია: იქვე, 102-103.

⁴¹ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999, 482.

უფლება აქვს. მოვალე ვალდებულების ის მხარეა, რომელმაც კრედიტორის სასარგებლოდ განსაზღვრული მოქმედება უნდა შეასრულოს.⁴²

მამკვიდრებელს შეიძლება ჰყავდეს როგორც ერთი, ისე რამდენიმე მემკვიდრე. თუ მემკვიდრე რამდენიმე პირია, მაშინ მათ სამკვიდროს გახსნიდან მის გაყოფამდე ეწოდებათ თანამემკვიდრეები და მათ შორის სამკვიდროს გაყოფამდე არსებული ქონება ითვლება თანასაკუთრებად და ერთიანი ქონების სახით ეკუთვნის ყველა თანამემკვიდრეს. ამ ქონებიდან შეიძლება გადახდილ იქნეს მხოლოდ მამკვიდრებლის მოვლისა და უკანასკნელი ავადმყოფობის, მკურნალობის, დაკრძალვის, სამკვიდროს დაცვისა და მართვის, ხელფასის გასტუმრების, ანდერძის აღსრულების აუცილებელი ხარჯები. ეს მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს სამკვიდროს ღირებულებიდან ყველა სხვა, მათ შორის, იპოთეკისა და გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნების უპირატესად.⁴³

მემკვიდრე ვალდებულია გაისტუმროს მამკვიდრებლის ვალები მიღებული სამკვიდროს ფარგლებში. მემკვიდრეობის სამართლის ეს ზოგადი დებულება კონკრეტულ გამოხატულებას სრულყოფილად პოულობს სამოქალაქო კოდექსის ნორმებში. ისინი ერთნაირად არეგულირებენ ანდერძითა და კანონით მემკვიდრეობის დროს ამ მხრივ წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. სამკვიდროს ღირებულება, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს მამკვიდრებლის ვალების გასტუმრება, უნდა განისაზღვროს სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის. სამკვიდროს მიღებამდე მიღებული ყოველგვარი შემოსავალი ამ ღირებულებაში არ ჩაითვლება. მხოლოდ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის დაფიქსირებული ღირებულება არის მთავარი. ეს ღირებულება სამკვიდრო ქონების სახით ნაწილდება მემკვიდრეებს შორის, თითოეული მემკვიდრე ვალდებულია გადაიხადოს მამკვიდრებლის ვალი მიღებული წილის ღირებულების პროპორციულად.⁴⁴ ზოგ შემთხვევაში ასეთი პროპორცია იმდენად ნათელია, რომ არავითარ გამოთვლას არ საჭიროებს. მაგალითად, თუ მემკვიდრეზე გადავიდა სამკვიდროს ნახევარი, ის პასუხს აგებს სამკვიდროში შემავალი ვალების ნახევარზე. საკითხი უფრო რთულდება, როცა ანდერძში მითითებულია ცალკეული ნივთები, რომლებიც უნდა გადავიდეს ცალკეულ მემკვიდრეებზე. ასეთ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს ამ ნივთების

⁴² იხ. ახვლედიანი ზ. ვალდებულებითი სამართალი, (მეორე გამოცემა) გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, 6.

⁴³ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999, 381.

⁴⁴ შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), მეორე გამოცემა, გამომცემლობა «მერიდიანი», თბილისი, 2011, 183-184.

ღირებულება და უნდა დადგინდეს საჭირო პროპორცია მათი ღირებულების შეფარდებით სამკვიდროს ღირებულებასთან.⁴⁵

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 453-ე მუხლის თანახმად, მოვალის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაწილეობის გარეშე. კრედიტორის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება გათვალისწინებული იყო პირადად კრედიტორისათვის.

საერთო წესის მიხედვით, მოვალის გარდაცვალება არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას. სსკ-ს 1484-ე მუხლის თანახმად, მემკვიდრეები ვალდებულნი არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად. სსკ-ს 453-ე მუხლი ერთ კონკრეტულ შემთხვევას ითვალისწინებს, როცა მოვალის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას. კერძოდ, ეს ხდება მაშინ, როცა ვალდებულების შესრულება შეუძლებელია მოვალის პირადი მონაწილეობის გარეშე. ასეთ დროს სახეზეა ისეთი გარემოება, რაც შეუძლებელს ხდის ვალდებულების იმგვარად შესრულებას, როგორც ეს ხელშეკრულებით იყო თავიდან გათვალისწინებული.⁴⁶ შესაბამისად, გარდა კანონით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევისა, არც კრედიტორის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას. კრედიტორის მოთხოვნა გადადის მის მემკვიდრეებზე და მათ უფლება აქვთ მოვალისაგან მოითხოვონ შესრულება. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა შესრულება პირადად კრედიტორისათვის იყო გათვალისწინებული, კრედიტორის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას.⁴⁷

მემკვიდრე მამკვიდრებლის არა მხოლოდ უფლების, არამედ მოვალეობის მონაცვლეცაა. მემკვიდრეები, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს, ვალდებულნი არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად, ასეთივე მოვალეობა ეკისრება ხაზინასაც, თუ უმკვიდრო ქონება მასზე გადავიდა.⁴⁸ თუკი პირს სიცოცხლეში ჰყავდა კრედიტორი(ები),

⁴⁵ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობითი სამართალი, (მესამე გამოცემა), გამომცემელი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2007, 91.

⁴⁶ მაგ. თუ კონცერტზე უნდა ემღერა მომღერალს, რომელიც კონცერტამდე გარდაიცვალა. აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. სვანაძე გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, gccc.ge, 2016, მუხლი 453, [19.02.2016].

⁴⁷ იხ. ჭანტურია ლ., ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, 565.

⁴⁸ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობითი სამართალი, (მესამე გამოცემა), გამომცემელი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2007, 90.

მისი გარდაცვალების შემდეგ მათ წინაშე არსებული ვალდებულებები გადაეცემათ გარდაცვლილის მემკვიდრეებს. უპირველეს ყოვლისა, რაც გარდაცვლილის მემკვიდრეებს მოეთხოვებათ კანონის დანაწესის შესაბამისად, არის ის, რომ მათ მთლიანად უნდა დაფარონ მამკვიდრებლის ვალები, ოღონდ მიღებული სამკვიდროს ფარგლებში.

ქართული კანონმდებლობა არ შემოიფარგლება მხოლოდ მემკვიდრეთა დავალდებულებით, დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა მოთხოვნები, სანამ საქმე მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე მივა, მემკვიდრეები ვალდებული არიან აცნობონ კრედიტორებს მამკვიდრებლის გარდაცვალების შესახებ. მემკვიდრეს შეტყობინების ვალდებულება წარმოეშობა იმ შემთხვევაში თუ მან იცი კრედიტორის არსებობის შესახებ. კანონი ამით შემოიფარგლა მემკვიდრეთა მხრიდან კრედიტორთა შეტყობინების ვალდებულების შესახებ.

მემკვიდრეები ვალდებული არიან შეატყობინონ მამკვიდრებლის კრედიტორებს სამკვიდროს გახსნის შესახებ. ეს მოვალეობა მათ მაშინ ეკისრებათ, თუ იციან იმის შესახებ, რომ მამკვიდრებელს ვალები დარჩა. მაგრამ თუ ეს არ იციან, მაშინ ამ მოვალეობას სანოტარო ორგანოები და სხვა დაინტერესებული პირები ასრულებენ. კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ ვადებს, რომელთა განმავლობაში კრედიტორებს თავიანთი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა ეძლევათ.⁴⁹

მართალია ზემოაღნიშნული ნორმა აკისრებს მემკვიდრეებს შეტყობინების ვალდებულებას, თუმცა რეალურად შესაძლოა მათ არც ჰქონდეთ ინფორმაცია კრედიტორთა არსებობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი რა თქმა უნდა მემკვიდრეებზეა, მათ უნდა ამტკიცონ შეეძლოთ თუ არა სცოდნოდათ კრედიტორთა არსებობის შესახებ და ჰქონდათ თუ არა შეტყობინების ვალდებულება.

მემკვიდრეებს შესაძლოა ჰქონდათ ინფორმაცია მამკვიდრებლის ვალების შესახებ, თუმცა არ იცოდნენ კრედიტორის ვინაობა და ადგილსამყოფელი. ასეთ ვითარებაში მემკვიდრეები შესაძლოა საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოთაც კი, მოკლებული არიან შესაძლებლობას, სრულყოფილად შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები. მოცემულ შემთხვევაში თავად კრედიტორებზე გადადის მტკიცების ტვირთი, არიან თუ არა ისინი მამკვიდრებლის ნამდვილი კრედიტორები, ვალის მიღების ადრესატები.

სსკ-ს 1487-ე მუხლში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ აქვს თუ არა მემკვიდრეს მამკვიდრებლის კრედიტორთა მოძებნის მცდელობის ვალდებულება. შესაძლოა მემკვიდრემ არაფერი იცოდეს მამკვიდრებლის

⁴⁹ შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), მეორე გამოცემა, გამომცემლობა «მერიდიანი», თბილისი, 2011, 185.

ვალდებულებების შესახებ, მაგრამ მის მიერ მცირედი მონდომების შედეგად აღნიშნული ინფორმაცია მიიღოს. როგორც ვიცით, ქართული კანონმდებლობა იცნობს მხარეთა შორის გარიგების დადების ორ ფორმას: ზეპირს და წერილობითს. წერილობითი გარიგების შემთხვევაში უფრო მარტივია დავადგინოთ მართლა არსებობდა თუ არა კრედიტორსა და მამკვიდრებელს შორის ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა, საქმე უფრო რთულად იქნება ზეპირი გარიგების შემთხვევაში, რადგან პირველ რიგში რთულია იმის გაგება ვისთან შეიძლება დაედო მამკვიდრებელს ზეპირი გარიგება და რომც გავიგოთ გარიგების შესაძლო არსებობის შესახებ, ძალიან რთულია დავადგინოთ აღნიშნულ გარიგებას მართლა ჰქონდა ადგილი თუ არა.

რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში თუ მამკვიდრებელსა და კრედიტორს შორის არსებობდა ზეპირი გარიგება ვერ მოვთხოვთ მემკვიდრეს ამის ცოდნის შესახებ, ასევე მემკვიდრემ შესაძლოა ვერ მიიღოს ინფორმაცია იმ კრედიტორების შესახებ, რომლებიც არ ეწვეიან ოფიციალურ საქმიანობას, მაგრამ ვფიქრობ კრედიტორთა დადგენა უფრო მარტივი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მას წარმოადგენს, მაგალითად, რომელიმე საფინანსო დაწესებულება. 21-ე საუკუნეში ალბათ არ არსებობს ადამიანი, რომელსაც შეხება არ აქვს რომელიმე ფინანსურ ინსტიტუტთან, იქნება ეს კომერციული ბანკი, მიკრო საფინანსო ორგანიზაცია, თუ ფინანსური მომსახურების განმახორციელებელი სხვა ორგანიზაცია. ასეთი ორგანიზაციები მომხმარებელს ძირითადად სთავაზობენ ე.წ. „SMS მომსახურებას“, რომელიც ითვალისწინებს მოვალისათვის ყოველი თვის გადასახადის (რომელსაც „ფეიმენტი“-ს უწოდებენ) რამდენიმე დღით ადრე შეტყობინებას. შესაბამისად მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეს შეუძლია აღნიშნული ინფორმაცია მიიღოს მამკვიდრებლის მობილური ტელეფონის საშუალებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასევე შესაძლებელი უნდა იყოს შემოსავლების სამსახურისათვის მიმართვა და, შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შედეგად, მამკვიდრებლის მომსახურე ბანკების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა, აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ მამკვიდრებლის ყველა მომსახურე ბანკიდან მისი დავალიანების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა და ბანკებისათვის მამკვიდრებლის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

აღნიშნული ინფორმაციის მოპოვებით და კრედიტორებისათვის ინფორმაციის დროულად მიწოდებით უფრო დაცული იქნება კრედიტორის მოთხოვნა, რადგან ამ ინფორმაციის მიწოდების დაყოვნებამ შეიძლება კრედიტორის მოთხოვნას საფრთხე შეუქმნას. მაგალითად, განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც მამკვიდრებელს აქვს კომერციული ბანკიდან აღებული

არაუზრუნველყოფილი სესხი, რომელის გადახდასაც იწყებს წინამდებარე სესხის აღებიდან 8 თვის შემდეგ, შესაბამისად 8 თვემდე ბანკის მხრიდან მოთხოვნა ვერ დაფიქსირდება. მამკვიდრებელი სესხის აღებიდან ორ კვირაში გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრეებმა არაფერი იცოდნენ მამკვიდრებლის მიერ აღებულ სესხზე და არც უცდიათ რაიმე ინფორმაციის მიღება. სამკვიდროს მიღება მამკვიდრებლემბა უპრობლემოდ განახორციელეს, თუმცა სამკვიდროს აღწერის გარეშე. კომერციული ბანკის მოთხოვნა პირველი შენატანის განხორციელების თაობაზე მოვიდა მას შემდეგ, რაც მემკვიდრეებმა მიიღეს სამკვიდრო ქონება და განახორციელეს მისი რეალიზაცია. ხოლო მაშინ, როდესაც ბანკისაგან მოთხოვნა მოვიდა სამკვიდრო ქონებისაგან სახეზე არაფერი იყო დარჩენილი, იქიდან გამომდინარე, რომ არ მომხდარა სამკვიდროს აღწერა ძნელია იმის გარკვევა ზუსტად რა რაოდენობის ქონებიდან უნდა დაკმაყოფილდეს კრედიტორის მოთხოვნა. კრედიტორისათვის კი ცნობილია, რომ მამკვიდრებელი ფლობდა საკმაოდ დიდი რაოდენობის მოძრავ ქონებას, რომელიც სავსებით საკმარისი იყო მისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. მისთვის დროულად, რომ მომხდარიყო მამკვიდრებლის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის მიწოდება იგი მიიღებდა გარკვეულ ზომებს, საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ სსკ-ს 1487 მუხლი არ არის საკმარისი კრედიტორთა უფლებების დასაცავად. კანონი შეტყობინების ვალდებულებასთან ერთად მემკვიდრეს უნდა ავალდებულებდეს შესაძლო კრედიტორების შესახებ ინფორმაციის მოძებნას და მათი მოძიების შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეტყობინებას.

მემკვიდრეები თანაბრად პასუხისმგებელნი არიან მამკვიდრებლის დარჩენილი ვალებისათვის, მიუხედავად იმისა არიან ისინი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრეები. კანონი ერთნაირად აკისრებს მათ ამ ვალდებულებებს მათ მიერ სამკვიდროს მიღების შემთხვევაში. მეტიც, კანონი სავალდებულო წილის მიმღებსაც კი ავალდებულებს დააკმაყოფილოს მამკვიდრებლის კრედიტორთა მოთხოვნა. სსკ-ს 1484 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად „მამკვიდრებლის ვალებისათვის პასუხისმგებელნი არიან სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეებიც“. რომ არა ეს ჩანაწერი სავალდებულო წილის მიმღების პირის არსებობის შემთხვევაში კრედიტორი და მასთან ერთად ანდერძით მემკვიდრეები უთანასწორო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ, რადგან სამკვიდრო ქონებას გამოაკლდებოდა სავალდებულო წილის მიმღები პირის მიერ მიღებული წილი და კრედიტორის დაკმაყოფილება მოხდებოდა აღნიშნული ქონებიდან, რაც, ერთი მხრივ, შეამცირებდა კრედიტორის შანსებს სრულად მომხდარიყო მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება და მეორე მხრივ, მემკვიდრეებს მოუწევდათ

კრედიტორის დაკმაყოფილება შემცირებული სამკვიდრო ქონებიდან, რაც კიდევ უფრო შეამცირებდა მათ მიერ საბოლოოდ მიღებულ მემკვიდრეობას. შესაბამისად, გამოიკვეთებოდა სავალდებულო წილის მიმღები პირის უსამართლო უპირატესობა.

რამდენიმე მემკვიდრის არსებობისას თითოეული მათგანი პასუხს აგებს სამკვიდროს დამტოვებელის ვალებისათვის მათ მიერ სამკვიდრო ქონებიდან მიღებული წილის ფარგლებში, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც მემკვიდრეობის ობიექტია განუყოფელი საგანი, მემკვიდრეები სამკვიდროს დამტოვებელის ვალებისათვის პასუხს აგებენ თანაბრად.⁵⁰

აუცილებელია თითოეული მემკვიდრის მიერ კრედიტორთათვის გადასახდელის გამოანგარიშება. თუ სამკვიდრო ერთმა მემკვიდრემ მიიღო, ცხადია ის პასუხს აგებს მამკვიდრებლის ყველა ვალზე, მიღებული სამკვიდროს ღირებულების ფარგლებში. როცა სამკვიდრო რამდენიმე მემკვიდრემ მიიღო, მაშინ უნდა განისაზღვროს თითოეულის წილის ღირებულება და პროპორცია მთელი სამკვიდროს ღირებულებასთან.⁵¹

მართალია, ახალი სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს არა მხოლოდ მოთხოვნის უფლების მემკვიდრეობით გადაცემას, არამედ მათ მიერ სავალო მოთხოვნის დაკმაყოფილებასაც. თუმცა ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ კრედიტორთა დაკმაყოფილება აუცილებლად უნდა მოხდეს ყველა მემკვიდრის მიერ. კანონი დასაშვებად მიიჩნევს თანამემკვიდრეთა შეთანხმებით სავალო მოთხოვნების მთლიანად დაკისრებას ერთ-ერთი მემკვიდრისათვის, სამკვიდროდან შესაბამისად გაზრდილი წილის მიცემის სანაცვლოდ. თითოეული მემკვიდრე ვალდებულია უზრუნველყოს სხვა თანამემკვიდრეთა მიერ შესაბამისი წილის მიღება. თანამემკვიდრის მიერ სამკვიდროს გაყოფის შედეგად მოთხოვნის უფლების შეძენა, ვალდებულს ხდის თანამემკვიდრეებს ხელი შეუწყონ მოვალის გადახდისუნარიანობას.⁵²

იმ ქონების დაბრუნება მესაკუთრისათვის, რომელიც არ ეკუთვნოდა მამკვიდრებელს, არ ნიშნავს მამკვიდრებლის ვალების გადახდას. ასეთი ქონების დაბრუნების ვალდებულება არ შეიძლება შეტანილ იქნეს სამკვიდროს პასივის შემადგენლობაში. კრედიტორებს არ შეუძლიათ

⁵⁰ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999, 403.

⁵¹ ახვლედიანი ზ., ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000, 514.

⁵² ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999, 496.

მოთხოვნის დაკმაყოფილება იმ ქონებიდან, რომელიც მამაკვიდრებელს არ ეკუთვნოდა მის სიცოცხლეში.⁵³

მოანდერძეს შეუძლია მთელი ვალის ან მისი ნაწილის გადახდა დაავალოს ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს სსკ-ს 1486-ე მუხლის თანახმად. ამ შემთხვევაში დანარჩენი მემკვიდრეები შესაბამისად მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდებიან ვალის გადახდის მოვალეობისაგან. თუ მამკვიდრებელმა მისი ვალის გადახდა დააკისრა ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს და ეს ვალი ამ მემკვიდრეთა წილის ღირებულების ფარგლებშია, მაშინ სხვა მემკვიდრეები ვალის გადახდისაგან თავისუფლდებიან. მაგრამ, თუ ვალი აღემატება ამ მემკვიდრეთა წილის ღირებულებას მის გადახდაში აუცილებლად უნდა ჩაირთოს სხვა მემკვიდრეებიც.⁵⁴ ცხადია მოანდერძე ვერ დააკისრებს მემკვიდრეს ისეთი ვალის გადახდას, რომელიც აღემატება მიღებული სამკვიდროს ოდენობას. თუ მამკვიდრებელმა ვალების გადახდა ერთ-ერთ მემკვიდრეს დაავალა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ მემკვიდრის მიერ მიღებული სამკვიდრო საკმარისი არ არის ვალების გასასტუმრებლად, მაშინ იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ მემკვიდრეები ვალდებული არიან მთლიანად დააკმაყოფილონ კრედიტორთა მოთხოვნები, ვალების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა სხვა მემკვიდრეებს უნდა დაეკისროთ.⁵⁵ შესაძლებელია მემკვიდრეებს მოუწიოთ სოლიდარული პასუხისმგებლობა, თუკი მამკვიდრებელი მემკვიდრეებზე გადასული ვალებით სოლიდარული მოვალე იყო. ასეთი ვალის გადამხდელ მემკვიდრეს უფლება აქვს რეგრესული მოთხოვნა წაუყენოს სხვა მემკვიდრეებს თითოეულის წილის პროპორციულად. თითოეული მემკვიდრე სოლიდარულად აგებს პასუხს, მაგრამ სამკვიდრო წილის ფარგლებში.⁵⁶ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მემკვიდრეები თავიანთი სამკვიდრო წილის შესაბამისად არიან ვალდებული შეასრულონ კრედიტორის მოთხოვნა. ამ შემთხვევაში მემკვიდრეთა პასუხისმგებლობაც სოლიდარულია.⁵⁷

საქართველოს საქალაქო კოდექსის 467-ე მუხლის თანახმად, ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება ათავისუფლებს

⁵³ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობითი სამართალი, (მესამე გამოცემა), გამომცემელი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2007, 95.

⁵⁴ შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), მეორე გამოცემა, გამომცემლობა «მერიდიანი», თბილისი, 2011, 185.

⁵⁵ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობითი სამართალი, (მესამე გამოცემა), გამომცემელი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2007, 92.

⁵⁶ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობითი სამართალი, (მესამე გამოცემა), გამომცემელი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2007, 90.

⁵⁷ ზოიძე ბ., ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, 594.

შესრულებისაგან დანარჩენ მოვალეებს. იგივე წესი მოქმედებს კრედიტორთან მოვალის მიერ განხორციელებული გაქვითვის მიმართ.

სოლიდარული ვალდებულების მიზანია კრედიტორის მდგომარეობის გაუმჯობესება. ამით იზრდება კრედიტორის შანსი შესრულებაზე. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ კრედიტორს შეუძლია იგივე შესრულება სხვებისგანაც მოითხოვოს. მოვალე, რომელმაც შეასრულა ვალდებულება, ამით სოლიდარული ვალდებულების ბედსაც წყვეტს და ყველა სოლიდარული მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან. ურთიერთობის შეწყვეტა სამართლის ობიექტური ნების საფუძველზე ხდება. შესრულების განხორციელებელმა მოვალემ შეიძლება არც კი იცოდეს, რომ მის გარდა არსებობს სხვა სოლიდარული მოვალე.⁵⁸

ისეთ შემთხვევაში, როდესაც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ სახეზეა რამდენიმე მემკვიდრე, ხოლო კრედიტორი კი ერთი დარჩა მამკვიდრებელს, მის წინაშე მემკვიდრეები ვალდებულნი არიან პასუხი აგონ მათ მიერ მიღებული ქონების ღირებულების ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად. თუმცა შესაძლოა ერთ-ერთმა მემკვიდრემ, მამკვიდრებლის კრედიტორის მიერ მოთხოვნის წარდგენისას ჩათვალოს, რომ კრედიტორის დაკმაყოფილება იყო მისი მოვალეობა და სრულად აანაზღაურა კრედიტორის წინაშე არსებული ვალდებულებები, რისთვისაც მან გამოიყენა არა მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებული ქონება, არამედ დაამატა პირად საკუთრებაში არსებული ქონებაც კი. ასეთ მემკვიდრეს, თუკი ის შეიტყობს, რომ მას არ ეკისრებოდა ვალდებულების სრულად შესრულება, უფლება აქვს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე დაყრდნობით კრედიტორისაგან მოითხოვოს შესრულებულის - ზედმეტად გადაცემულის უკან დაბრუნება. ვინაიდან ამგვარი შესრულების ვალდებულება მას კანონით არ ეკისრებოდა, შესაბამისად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 385-ე მუხლის თანახმად ის, რაც ვალდებულების გარეშეა გადახდილი, შესაძლოა უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ წესების მიხედვით უკან იქნეს მოთხოვილი. ხოლო რაც შეეხება შემთხვევას, როდესაც მხოლოდ მამკვიდრებლის კრედიტორის ინტერესების დაკმაყოფილება ხდება მხოლოდ ერთი მემკვიდრის მიერ მიღებული სამკვიდრო ქონებიდან, ასეთი მემკვიდრე უფლებამოსილია, რომ მან დანარჩენი მემკვიდრეებისაგან მოითხოვოს ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში დანარჩენი მემკვიდრეები აღმოჩნდებიან უსაფუძვლოდ გამდიდრებულნი.

მოვალეს, რომელმაც შეასრულა სოლიდარული ვალდებულება, უკუმოთხოვნის უფლება აქვს დანარჩენ სოლიდარულ მოვალეთა მიმართ. ვალდებულების სოლიდარობა კრედიტორთან მიმართებაშია, თორემ, თვით

⁵⁸ იქვე, 588.

მოვალეთა შორის ურთიერთობა წილობრივი პასუხისმგებლობით გვარდება. მოვალე, რომელიც იხდის ვალს, ასრულებს არამარტო თავის საკუთარ ვალდებულებას, არამედ იმავედროულად დანარჩენ სოლიდარულ მოვალეთა ვალდებულებასაც. სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულებით არსებობას წყვეტს სოლიდარული ვალდებულება. მოცემულ მოვალეს შეუძლია დანარჩენებს წილთა თანაბრობის კვალობაზე მოსთხოვოს გადახდა, ოღონდ, იმის გამოკლებით, რაც უშუალოდ მას ევალება კრედიტორის წინაშე. ასევე, როცა შეუძლებელია მოვალეთა პასუხისმგებლობის ოდენობის განსაზღვრა, ისინი ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ თანაბარი წილით. უნდა ვივარაუდოთ, რომ მოვალეზე, რომელმაც მთლიანად დაფარა ვალი, გადადის უზრუნველყოფის საშუალებანიც, რაც კრედიტორს ეკუთვნოდა. მოვალე ასევე ვალდებულია დროზე აცნობოს დანარჩენ მოვალეებს, რომ სოლიდარული ვალდებულება მის მიერ უკვე შესრულებულია. შეუტყობინებლობამ შეიძლება რიგი შეზღუდვები გამოიწვიოს სოლიდარულ მოვალეთა შორის ურთიერთობებში.⁵⁹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლის თანახმად, პირის, რომელიც, სხვა პირის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრდა სხვა საშუალებითაც, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია ამ თავში, მოვალეა დაუბრუნოს მას მიღებული.

ამავე ნორმაზე დაყრდნობით დაბრუნებას ექვემდებარება ისეთი შესრულებაც, რომლის ვალდებულებაც არ არსებობდა „სხვა საფუძვლით“, ძნელია წინასწარ დაკონკრეტდეს რა მიეკუთვნება სხვა საფუძველთა ჩამონათვალს. აღნიშნულ საფუძველთა შეფასება უნდა მოხდეს კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით. ეს გარემოებები შეიძლება გამოიკვეთოს მრავალმხრივ ურთიერთობებში, რომელთა წარმოშობა ნამდვილი გარიგების საფუძველზე ხდება.⁶⁰

მიმაჩნია, რომ ზემოთაღნიშნული ორივე შემთხვევა შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთ შემთხვევაში კრედიტორის და მეორე შემთხვევაში მემკვიდრეების უსაფუძვლოდ გამდიდრების შემთხვევად, სწორედ რაც უფლებას წარმოუქმნის შესაბამის მემკვიდრეს დაიბრუნოს ზედმეტად გაცემული, მის მიერ „დაკარგული“ ქონება.

⁵⁹ ზოიძე ბ., ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, 597-598.

⁶⁰ იხ. ჩიტოშვილი თ. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები (ზოგადი დახასიათება) უსაფუძვლო გამდიდრება (ძირითადი საკითხები, გამომცემელი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2015, 92.

ვალდებულების წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს ცალმხრივი გარიგებაც. მაგალითად, ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას ანდერძიდან. კანონი ითვალისწინებს, რომ მემკვიდრეს, რომელიც სამკვიდროს იღებს, მოანდერძის მიერ შეიძლება დაეკისროს რაიმე ვალდებულების შესრულება ერთი ან რამდენიმე პირის სასარგებლოდ. პირს, რომლის სასარგებლოდაც გაკეთდა მოანდერძის ასეთი განკარგულება, უფლება აქვს მოითხოვოს მემკვიდრისაგან საანდერძო დანაკისრის შესრულება, ხოლო მემკვიდრე ვალდებულია შეასრულოს იგი მოანდერძის ნების შესაბამისად. ამრიგად, მემკვიდრის ვალდებულება და საანდერძო დანაკისრის მიმღების უფლება აღმოცენდება ცალმხრივი გარიგებიდან - ანდერძიდან.⁶¹ მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე არსებული ვალდებულებების დაკმაყოფილებას უპირატესი ადგილი უკავია საანდერძო დანაკისრის მიმღებ პირებთან შედარებით. ამას მოწმობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1387 მუხლის შინაარსი, რომლის მიხედვითაც, მემკვიდრემ, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება დაევალა, უნდა შეასრულოს იგი საანდერძე სამკვიდროს ნამდვილი ღირებულების ფარგლებში მამკვიდრებლის ვალების იმ ნაწილის გამოკლებით, რომლის გასტუმრებაც მას შეხვდა. ამ მუხლის ბოლო წინადადების მიხედვით ვადგენთ, რომ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესებს ენიჭება უპირატესობა მამკვიდრებლის თუნდაც უკანასკნელ სურვილთან მიმართებაშიც კი, ვინაიდან კრედიტორის წინაშე მამკვიდრებელი იმყოფებოდა ვალდებულებით ურთიერთობაში, ვალდებულების შესრულება კი ნებისმიერი ადამიანის სურვილების დაკმაყოფილებაზე წინ უნდა იდგეს.

რამდენადაც საანდერძო დანაკისრის მიმღები (ლეგატარი) წარმოადგენს არა მამკვიდრებლის, არამედ განსაზღვრული მემკვიდრის კრედიტორს, მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს იმ მემკვიდრის წილის ანგარიშზე, რომელსაც დაეკისრა საანდერძო დანაკისრის შესრულება. ლეგატარს არ შეუძლია საანდერძო დანაკისრის შესრულება მოითხოვოს სამკვიდროს იმ წილიდან, რომელიც სხვა მემკვიდრეებმა მიიღეს. მემკვიდრე საანდერძო დანაკისრს შეასრულებს მხოლოდ სამკვიდროდან მისი წილი ფარგლებში. თუ სამკვიდრო დანაკისრის შესასრულებლად საკმარისი არ არის, შესრულება შეიძლება მოხდეს იმ ფარგლებში, რისთვისაც საკმარისი იქნება მოცემული მემკვიდრის წილი სამკვიდროდან. დანაკისრის შესრულებისას მემკვიდრის, რომელსაც დანაკისრის შესრულება დაეკისრა, წილს გამოაკლდება მამკვიდრებლის ვალები, რომელიც მან გაისტუმრა. მაგალითად, თუ მემკვიდრის წილი სამკვიდროდან შეადგენდა ათი ათასი ლარის

⁶¹ ახვლედიანი ზ. ვალდებულებითი სამართალი, (მეორე გამოცემა) გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, 7-8.

ღირებულების ქონებას, რომლიდანაც ხუთი ათასით მამკვიდრებლის ვალები გაისტუმრა, მაშინ საანდერძო დანაკისრი უნდა შესრულდეს ხუთი ათასი ლარის ფარგლებში.⁶² მამკვიდრებლის ვალებისათვის მემკვიდრეები აგებენ პასუხს. საანდერძო დანაკისრის მიმღები კი მემკვიდრე არ არის და არც პასუხს არ აგებს მამკვიდრებლის ვალებისათვის.⁶³ ამ წინადადებას განამტკიცებს სსკ-ს 1393-ე მუხლი, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საანდერძო დანაკისრის შესრულებისას მემკვიდრეს უწევს ჯერ მამკვიდრებლის ვალების გადახდა და შემდეგ დარჩენილი ნაწილით საანდერძო დანაკისრის შესრულება, შეიძლება ითქვას, რომ ეს გარკვეულწილად ახდენს უკვე ზეგავლენას ლეგატარის მიერ მისაღები ვალდებულების ფარგლებზე.

როგორც ცნობილია, საანდერძო დანაკისრის მიმღები პირის მიმართ მემკვიდრეებს ეკისრებათ განსაზღვრული ვალდებულებები, მაგრამ ეს ვალდებულებები მემკვიდრეებმა უნდა შეასრულონ მამკვიდრებლის ვალების გადახდის შემდეგ დარჩენილი ქონებიდან. ამიტომ, თუ მოხდა ისე, რომ ანდერძით მემკვიდრემ უკვე გადასცა ქონება საანდერძო დანაკისრის მიმღებს, შემდეგ კი გამოირკვა, რომ მამკვიდრებელს ჰყავს კრედიტორები და დარჩენილი ქონება საკმარისი არ არის მათ დასაკმაყოფილებლად, მემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს დანაკისრის მიმღებისგან ქონების ან მისი ნაწილის უკანვე დაბრუნება.⁶⁴

დასაშვებია, რომ მემკვიდრეს(ებს), რომელზეც გადავიდა მამკვიდრებლის უფლება-მოვალეობები, თავად ჰყავს კრედიტორი, რომელიც მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებისთანავე მოითხოვს მისგან ვალის დაფარვას. ასეთ დროს მემკვიდრე, რა თქმა უნდა, ეცდება საკუთარი ინტერესების წინ დაყენებას და ერთგვარი „სარგებლის“ ნახვა მამკვიდრებლის ქონებიდან, იგი ეცდება დაფაროს თავისი კრედიტორი ვალები, თუმცა ასეთ დროს კანონი კრედიტორის მხარეს იჭერს. ეჭვგარეშეა, რომ ასეთ სიტუაციაში მამკვიდრებლის კრედიტორების ინტერესები და მოთხოვნები უპირატესი ძალის მქონეა და ეს განმტკიცებულია სამოქალაქო კოდექსის 1491-ე მუხლით. სწორედ სამკვიდროს გახსნა და მისი მიღება შესაძლებელია გახდეს მემკვიდრეთა მიმართ ვალის დაფარვის მოთხოვნის წარდგენის საფუძველი. ასეთ შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭებათ მამკვიდრებლის კრედიტორებს.

⁶² ახვლედიანი ზ., „ქანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.)“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000, 441.

⁶³ იქვე, 445.

⁶⁴ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობითი სამართალი, (მესამე გამოცემა), გამომცემელი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2007, 92.

პირველ რიგში, ისინი უნდა დაკმაყოფილდნენ, ხოლო შემდეგ კი - მემკვიდრის კრედიტორები.⁶⁵

მემკვიდრეებს, გარდა ვალებისა, ევალებათ დააბრუნონ სხვა პირების ქონება, რომელიც მამკვიდრებლის კანონიერ თუ უკანონო მფლობელობაში იყო. საქმე ეხება იმ ქონების დაბრუნებას, რომელიც მამკვიდრებელს ქირავნობით, შესანახად, შესაკეთებლად და სხვა საფუძვლით ჰქონდა ანდა უსაფუძვლოდ ფლობდა. იმ ქონების დაბრუნება, რომელიც არ ეკუთვნოდა მამკვიდრებელს არ ნიშნავს მამკვიდრებლის ვალების გადახდას. ასეთი ქონების დაბრუნების ვალდებულება არ შეიძლება შეტანილ იქნეს სამკვიდროს პასივის შემადგენლობაში. კრედიტორებს არ შეუძლიათ მოითხოვონ დაკმაყოფილება იმ ქონებიდან, რომელიც მამკვიდრებელს არ ეკუთვნოდა მის სიცოცხლეში.⁶⁶ შესაძლოა მამკვიდრებლის ვალები საერთოდ აღემატებოდეს სამკვიდროს. ასეთ დროს მტკიცების ტვირთი გადადის მემკვიდრეებზე, მათ უნდა ამტკიცონ, რომ მამკვიდრებლის ვალები აღემატება სამკვიდროს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სამკვიდრო აღწერილი იყო ნოტარიუსის მიერ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1485-ე მუხლი).

2. კრედიტორთა მოვალეობები მოვალის გარდაცვალებისას

მამკვიდრებლის მიერ კრედიტორების წინაშე არსებული ვალდებულებების, მემკვიდრეთა მიერ შესრულების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს არა მხოლოდ ამ ვალდებულების არსებობა და მათი გადასვლა მემკვიდრეებზე, არამედ აგრეთვე სავალდებულოა კრედიტორების მხრიდან პრეტენზიების წაყენება მამკვიდრებლის ვალდებულების მატარებელთათვის და ეს მოთხოვნა აუცილებლად უნდა შესრულდეს კანონით დადგენილ ვადებში.

ვალდებულების შინაარსს შეადგენს მისი მხარეების უფლებები და ვალდებულებები, კერძოდ, კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს მოვალისაგან რაიმე მოქმედების შესრულება და მოვალის ვალდებულებას შეასრულოს განსაზღვრული მოქმედება. ვალდებულების შესრულებით დაინტერესებულია კრედიტორიც და მოვალეც. ვალდებულების შესრულებისას თითოეული მხარე ვალდებულია ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მეორე მარეს მისი ვალდებულების შესრულებაში. კრედიტორის ფუნქცია მხოლოდ იმით როდი ამოიწურება, რომ მოითხოვოს შესრულება მოვალისაგან, თავის მხრივ, ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ვალდებულება შესრულდეს და არ დაირღვეს მეორე მხარის უფლებები და ინტერესები. ვალდებულების ობიექტს წარმოადგენს ის, რაზეც მიმართულია

⁶⁵ იხ. შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), მეორე გამოცემა, გამომცემლობა «მერიდიანი», თბილისი, 2011, 187.

⁶⁶ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობითი სამართალი, (მესამე გამოცემა), გამომცემელი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2007, 95.

კრედიტორის უფლება (მოთხოვნის უფლება) და მისი შესაბამისი მოვალის ვალდებულება. ვალდებულება, ისე როგორც ყველა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა, წარმოიშობა განსზღვრული იურიდიული ფაქტების საფუძველზე, რომელთაგან კანონი განსაკუთრებით გამოყოფს ისეთ იურიდიულ ფაქტს, როგორცაა ხელშეკრულება. ვალდებულებათა უმეტესობა მყარდება ხელშეკრულებაში გამოხატული მისი მონაწილეების ნებით.⁶⁷

კრედიტორები არ არიან შეუზღუდავი კანონის მიხედვით მათ წინაშე მამკვიდრებლის ვალდებულებების დაკმაყოფილებისათვის მოთხოვნის წარდგენის ვადებში. მართალია მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებები აუცილებლად უნდა შესრულდეს, თუმცა კრედიტორების მიერ, კანონით განსაზღვრული ვადების დაუცველობა გამოიწვევს მათი მოთხოვნის უფლების დაკარგვას.

მამკვიდრებლის კრედიტორებმა სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეებს ვალის გადახდის მოთხოვნა უნდა წარუდგინონ ექვი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის შესახებ ცნობების მიღებიდან. მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ როდის დადგა გადახდის მოთხოვნის უფლება, კრედიტორმა მაინც უნდა წარადგინოს მოთხოვნა.

ეს არ არის ჩვეულებრივი ხანდაზმულობის ვადა, რომლის გაგრძელებაც შეუძლია სასამართლოს პატივსადები მიზეზების არსებობისას. ამ ვადის გაშვება სპობს მისი გაგრძელების ან შეჩერების შესაძლებლობას და აბათილებს კრედიტორებს მიერ კუთვნილი მოთხოვნის უფლებას. სახლის დაგირავებით უზრუნველყოფილი სესხის დაფარვის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკს, როგორც კრედიტორს (მოგირავნეს) შეუძლია მიიღოს დაკმაყოფილება დაგირავებული ქონების საფასურიდან. ამ შემთხვევაში მოვალის სიკვდილი არ წყვეტს ვალდებულების შესრულების გირაოთი უზრუნველყოფის უფლებას. დაგირავებულ ქონებაზე საკუთრების უფლების სხვა პირზე გადაცემის, ან იმ ქონების მემკვიდრეობით გადასვლის შემთხვევაში ვალდებულების დაკმაყოფილების უფლება ძალას ინარჩუნებს.⁶⁸

კრედიტორებს უფლება აქვთ წარუდგინონ სარჩელი სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეებს ან ანდერძის აღმსრულებელს და სანოტარო ორგანოს ან აღძრან სარჩელი სასამართლოში სამკვიდრო ქონების მიმართ. ამ უკანასკნელს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მემკვიდრეებს ჯერ არ აქვთ მიღებული სამკვიდრო ქონებიდან თავიანთი წილი, ხოლო ექვსთვიანი ვადა კი იწურება. პრეტენზიების წაყენება ხდება მიუხედავად იმისა, თუ როდის

⁶⁷ ახვლედიანი ზ. ვალდებულებითი სამართალი, (მეორე გამოცემა) გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, 6-7.

⁶⁸ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999, 402.

დგება ამა თუ იმ მოთხოვნის ვადა. ხოლო მემკვიდრე, რომელიც დროულად მიიღებს კრედიტორთა პრეტენზიას, თავის მხრივ მოვალეა გაისტუმროს მამკვიდრებლის ვალები დადგენილ ვადაში ან დაფაროს იგი ვადაზე ადრეც.⁶⁹ სხვა შემთხვევაა, როცა კრედიტორებმა სამკვიდროს გახსნის შესახებ გაიგეს მხოლოდ მოთხოვნის ვადის დადგომის დღეს ან უფრო ადრე. მაშინ მათ მოთხოვნა მემკვიდრეებს უნდა წარუდგინონ მოთხოვნის ვადის დადგომიდან ერთი წლის განმავლობაში.⁷⁰

„სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის #71-ე ბრძანების 78-ე მუხლის 1 ნაწილის შესაბამისად ნოტარიუსი ვალდებულია, მიიღოს მამკვიდრებლის კრედიტორების წერილობითი განცხადება კრედიტორების პრეტენზიების შესახებ. განცხადება უნდა შედგეს კერძო, ან ან საჯარო აქტის ფორმით. განცხადება მიიღება მიუხედავად იმისა, დადგა თუ არა მოთხოვნის ვადა.

კრედიტორი უფლებამოსილია მიმართოს ნოტარიუსს და მოითხოვოს ინფორმაცია მოვალის გარდაცვალების შედეგად სამკვიდროს გახსნის და მემკვიდრეთა შესახებ, რა თქმა უნდა, აღნიშნული ინფორმაციის გაცემამდე შესაბამისი ინფორმაციის გამცემი პირი უნდა დარწმუნეს, რომ გარდაცვლილ პირსა და ინფორმაციის მომთხოვნს შორის ნამდვილად არსებობდა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, რის საფუძველზეც იგი გასცემს აღნიშნულ ინფორმაციას. თუ მემკვიდრეს ფაქტობრივი ფლობით მიღებული აქვს სამკვიდრო, ნოტარიუსი ავალეებს მას მაგ: უძრავი ქონების რეესტრში რეგისტრაციას, მაგრამ თუ მემკვიდრე მაინც აჭიანურებს სამკვიდროს მიღებას, რითაც საფრთხეს უქმნის კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მაშინ ნოტარიუსი ამისამართებს კრედიტორს სასამართლოში.

კრედიტორები არ არიან უფლებამოსილი მემკვიდრეთაგან საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება აუცილებლად მოითხოვონ მათსა და მამკვიდრებელს შორის არსებული გარიგების შესრულების ვადის დადგომამდე. კანონი მემკვიდრეებს აძლევს შესაძლებლობას კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილება გადადონ შესრულების ვადის დადგომამდე.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §211 ეხება ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას სამემკვიდრეო საქმეებში. აღნიშნული მუხლი ფორმულირებულია შემდეგნაირად: მოთხოვნის უფლება, რომელიც შედის სამკვიდრო ქონებაში, ან მიმართულია მის წინააღმდეგ, არ არის ხანდაზმული ექვსი თვის ვადის

⁶⁹ იქვე, 401.

⁷⁰ შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), მეორე გამოცემა, გამომცემლობა «მერიდიანი», თბილისი, 2011, 186.

გასვლამდე იმ მომენტიდან, როდესაც სამკვიდრო მიღებულ იქნა მემკვიდრის მიერ, ან სამკვიდრო ქონების მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება, ანდა მოთხოვნის უფლება წარმოდგენილ იქნა წარმომადგენლის მიერ ან მის მიმართ. თუ ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეზე მცირეა, მაშინ ხანდაზმულობისათვის დადგენილი ვადა იკავებს ექვსი თვის ვადის ადგილს. მოცემულ მუხლში გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა იცავს მემკვიდრეს, ან სამკვიდროს კრედიტორს უფლების დაკარგვამდე, რომლის დროსაც, როგორც წესი, მიმდინარე ხანდაზმულობის ვადა წყდება ექვსი თვის გასვლისთანავე სრულწლოვანების მიღწევის ან სამკვიდროს მიღების შემდეგ.⁷¹

ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. თუ არ არსებობს ვალდებულება, მაშინ არც შესრულება იქნება. ასე მაგალითად, თუკი ა-ს შეცდომით ჰგონია, რომ მართებს ბ-ს ვალი და მისი გადახდის მიზნით კიდევ გადასცემს გარკვეულ თანხას, ეს ვერ იქნება ვალდებულების შესრულება, ვინაიდან არ არსებობს თვით ვალდებულება.⁷²

კრედიტორების მიერ მოთხოვნის წარდგენის ვადა არ ვრცელდება იმ დანახარჯების მოთხოვნებზე, რომლებიც გამოწვეული იყო მამკვიდრებლის უკანასკნელი ავადმყოფობის დროს მოვლითა და მკურნალობით, ხელფასის გასტუმრებით, დაკრძალვით, სამკვიდროს დაცვითა და მართვით, ასევე მესამე პირების მოთხოვნებზე - ქონებაზე საკუთრების უფლების ცნობის და მათი კუთვნილი ქონების გამოთხოვის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში კრედიტორები მიმართავენ ხანდაზმულობის საერთო ვადებს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1489-ე მუხლი).⁷³

3. მემკვიდრეთა მიერ კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების რისკები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. შესაბამისად მემკვიდრეები, იქნებიან ისინი კანონით, თუ

⁷¹ იხ. კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, GIZ, თბილისი, 2014, 98-101.

⁷² ზოიძე, ბ., ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, 276.

⁷³ იხ. შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), მეორე გამოცემა, გამომცემლობა «მერიდიანი», თბილისი, 2011, 186-187.

ანდერძით მემკვიდრეები ანდა სახელმწიფო, რომელზეც ასევე გადადის მამკვიდრებლის შესასრულებელი ვალდებულებები გადაცემული სამკვიდრო ქონების ფარგლებში, ვალდებულნი არიან იგივენაირად უზრუნველყონ მამკვიდრებლის კრედიტორთა დაკმაყოფილება, როგორც ეს ევალებოდა მამკვიდრებელს, მათ აუცილებლად უნდა შეასრულონ მამკვიდრებლის ვალდებულებები ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დათქმულ დროს.

მოვალის გარდაცვალების დროს ყოველთვის არის იმის რისკი, რომ კრედიტორის მოთხოვნები დარჩეს დაუკმაყოფილებელი, ასეთ დროს კრედიტორის ინტერესების დამცავად უნდა მოგვევლინოს კანონი, რომელშიც დღესდღეობით საკმაოდ ბევრი ხარვეზი და უზუსტობაა, რაც კრედიტორის ინტერესების დაცვაზე ნამდვილად არ მეტყველებს.

პირველი პრობლემა, რომელიც კრედიტორს შეიძლება წარმოემვას არის მამკვიდრებელსა და მას შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის დამტკიცება. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები ერთმანეთთან უამრავ ურთიერთობას ამყარებენ ისე, რომ არც კი აცნობიერებენ ამ ურთიერთობების სამართლებრივ ხასიათსა და ბუნებას. არც იმ მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებზე ფიქრობენ, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამა თუ იმ ვალდებულების დარღვევით. ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობენ არა სამართლებრივი ნორმების, კანონების შიშით, არამედ იმის გამო, რომ ეს მათი ბუნებრივი მოთხოვნილება, სასიცოცხლო აუცილებლობაა.⁷⁴ თუმცა, ვფიქრობ, კანონის ძალით მოქალაქეთა დავალდებულება, რომ მათ ნებისმიერ შემთხვევაში დადონ არა ზეპირი, არამედ წერილობითი ხელშეკრულება, არ იქნება გამართლებული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ხომ სწორედ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს განამტკიცებს. კანონით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევების გარდა, მხარეებს დამოუკიდებლად შეუძლიათ შეთანხმდნენ ხელშეკრულების ფორმაზე. ხელშეკრულებათა აბსოლუტური უმრავლესობა ზეპირად იდება. ეს სრულიად შეესაბამება მხარეთა მოთხოვნილებას ერთმანეთთან ურთიერთობები მოაწესრიგონ ზედმეტი ფორმალობების გარეშე. მაგრამ იქ, სადაც აუცილებელია მეტი წინდახედულობა, სიფრთხილე და მხარეთა უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები, კანონი სავალდებულო წერილობით ფორმას ითვალისწინებს.⁷⁵

შეიძლება ითქვას, რომ ზეპირი გარიგების დადების შემთხვევაში კრედიტორი თავის თავზე იღებს მისი მოთხოვნის შეუსრულებლობის რისკს და აღნიშნული ურთიერთობის მოწესრიგება კანონით სხვაგვარად

⁷⁴ ჭანტურია ლ., ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, 23.

⁷⁵ იქვე, 103.

შეუძლებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვეოდა სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი. ზეპირი გარიგების შემთხვევაში მტკიცების ტვირთი არის კრედიტორზე.

მეორე და უმთავრესი პრობლემა, რომელსაც კრედიტორები აწყდებიან მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში არის მათი მოთხოვნის ფარგლები და სამკვიდრო ქონების დაზუსტებასთან დაკავშირებული პრობლემები.

სამკვიდროს ღირებულება, რომლის ფარგლებშიც ხდება კრედიტორების დაკმაყოფილება, განისაზღვრება სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის. სამკვიდროს ყოველგვარი შემატება სამკვიდროს გახსნის შემდეგ (მაგალითად, ქირა სამკვიდროს სარგებლობისათვის სამკვიდროს გახსნიდან მის მიღებამდე) სამკვიდრო ღირებულებაში არ ჩაითვლება. ამასთან სამკვიდრო ღირებულებიდან არ გამოირიცხება ხარჯები, რომელთა გადახდა სამკვიდროს გახსნის შემდეგ ევალებათ მემკვიდრეებს.⁷⁶ კრედიტორთა პრობლემები სწორედ აქ წარმოიშობა, გასაგებია, რომ სამკვიდროს ღირებულება უნდა განისაზღვროს სამკვიდროს გახსნის დროს, მაგრამ კანონი არ ადგენს მისი განსაზღვრის წესს. კანონი არ ავალდებულებს ნოტარიუსს სამკვიდროს აღწერას, არც მემკვიდრეებს ევალებათ სამკვიდროს აღწერის მოთხოვნა. აქ ჩნდება კითხვა, როგორ უნდა განისაზღვროს სამკვიდროს ღირებულება ობიექტურად?

მოცემულ რეალობაში ძირითადად სამკვიდროს აღწერა არ ხდება, მემკვიდრეები კი ნოტარიუსს მიმართავენ იმ შემთხვევაში თუ სამკვიდრო ქონება მოიცავს უძრავ ქონებას, სხვა შემთხვევაში, თუ სახეზეა მხოლოდ მოძრავი ნივთები, მემკვიდრეები თვითონ იყოფენ აღნიშნულ ქონებას. ან ნოტარიუსთან მიმართვის შემთხვევაში არ ხდება ყველა ნივთის დასახელება, რომელიც ეკუთვნოდა მამკვიდრებელს. ხშირია შემთხვევა, როდესაც მოძრავი ქონების ღირებულება აღემატება უძრავი ქონების ღირებულებას (მაგ. ცნობილი მხატვრის ნახატები, ანტიკვარული ნივთები და სხვ.). როდესაც სამკვიდროს მიღება ხდება მისი აღწერის გარეშე, ამ შემთხვევაში იკვეთება კრედიტორის ინტერესის ხელყოფა.

სამწუხაროდ, კანონი არ გვადლევს პასუხს კითხვაზე, თუ როგორ შეიძლება მოხდეს სამკვიდროს ღირებულების დადგენა, ისე, რომ არ დაირღვეს კრედიტორის უფლებები. ვფიქრობ სამკვიდროს დაცვა შეიძლება გამოყენებულ იქნას კრედიტორის მოთხოვნის დაცვის ერთ-ერთ გზად, რაზედაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებ.

სამოქალაქო სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციების თანახმად, მოვალის გარდაცვალების შემდეგ ხშირ შემთხვევაში მისი

⁷⁶ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობითი სამართალი, (მესამე გამოცემა), გამომცემელი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2007, 91.

მემკვიდრეები განზრახ არ იღებენ სამკვიდროს, ძირითადად – უძრავ ქონებას, რომელიც დატვირთულია იპოთეკით, სამკვიდროს მოწმობის მიღების გზით, რათა არ მოხდეს ამ ქონებაზე აღსრულების მიქცევა, მაშინ როდესაც მემკვიდრეებს ეს ქონება ფაქტიური ფლობით მიღებული აქვთ, რის გამოც კრედიტორებს უჭირთ თავიანთი უფლებების დაცვა.⁷⁷ ამ შემთხვევაში, იქიდან გამომდინარე, რომ მემკვიდრე ქონების ფაქტობრივად ფლობას შეუდგა შეიძლება ჩაითალოს, რომ მანდ მიიღო სამკვიდრო, რადგან კანონი იცნობს სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებების ცნებას. შესაბამისად კრედიტორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, რომელიც აიძულებს მემკვიდრეს დაასრულოს სამკვიდროს მიღება და დარეგისტრირდეს უძრავი ქონების მესაკუთრედ ან მიმართავს სხვა ხერხებს, კრედიტორის უფლების დასაცავად. თუმცა აღნიშნული პროცესი ხშირ შემთხვევაში დროში ძალიან იწელება და კრედიტორმა შესაძლოა საერთოდ დაკარგოს მოთხოვნის დაკმაყოფილების ინტერესი.

როდესაც მოვალე უკვე გარდაცვლილია და კრედიტორი სარჩელს აღძრავს, ამ უკანასკნელს შეუძლია სარჩელი აღძრას მემკვიდრეების მიმართ. მათ შესაძლოა მემკვიდრეობა სანოტარო წესით მიღებული არ აქვთ, მაგრამ სამკვიდროს ფაქტობრივად დაეუფლნენ. ასეთ შემთხვევაში საქმეში მოპასუხედ მოწვეული იქნება ყველა მემკვიდრე (ვისაც კრედიტორი ჩართავს), ხოლო თუ მოწვეულმა მოპასუხეებმა განაცხადეს, რომ ისინი უარს ამბობენ მემკვიდრეობაზე, მაშინ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, დაისმება საკითხი სათანადო მოპასუხის ჩართვასთან დაკავშირებით და საქმეში მოპასუხედ სახელმწიფო ჩაერთვება. რეალურად, როდესაც მემკვიდრეები აღმოჩნდებიან თავიანთი ქონების დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე, იმთავითვე ცხადია, რომ არც ერთი მათგანი (თანამოპასუხეების შემთხვევაში) არ დაეთანხმება მოპასუხის შეცვლას და პროცესზე ცხადი გახდება, რომ მემკვიდრეები (მოპასუხეები) დასახელებული პირები არიან, ხოლო თუკი ისინი განაცხადებენ, რომ არ არიან მემკვიდრეები, მაშინ საქმეში ჩაებმება სახელმწიფო.⁷⁸

⁷⁷ კრედიტორების დაკმაყოფილება მემკვიდრეთა მიერ - #2(182), 2015, აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები; ყოველთვიური ჟურნალი მეწარმეებისა და ფინანსისტებისთვის, (<http://aaf.ge/index.php>, იხ. ბმულზე: <http://aaf.ge/index.php?menu=1&rubr=6&mas=2376>), აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე იხ.: საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბილისი, 2011, 13-14. (იხ. ბმულზე: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/rekomenda-samoqadmin.pdf>).

⁷⁸ იქვე.

ქართული რეალობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა მემკვიდრეობის მიღების პროცესთან დაკავშირებით საერთო ბაზის, რომელზეც წვდომა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ექნება, არარსებობა წარმოადგენს. „საქართველოში ოფიციალურად არ ქვეყნდება ინფორმაცია მემკვიდრეობის გახსნის შესახებ (როგორც, მაგალითად, ესპანეთში) არ არსებობს სამემკვიდრეო საქმეთა ერთიანი (ან თუნდაც დანაწევრებული) რეესტრი (სადაც აღირიცხება მემკვიდრეობის გახსნის თითოეული ფაქტი, მემკვიდრეთა განცხადებები სამკვიდროს მიღების შესახებ, უღირს მემკვიდრედ ცნობის ფაქტები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია), მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში არ არსებობს შეჯამებული ინფორმაცია თითოეული პირის ოჯახურ-ნათესაური კავშირების შესახებ (ქორწინება, მეუღლე, შვილები, მშობლები და ა.შ.). არ არსებობს ანდერძების სახელმწიფო რეესტრი (ჯერჯერობით არსებობს მხოლოდ კანონპროექტი)“.⁷⁹

მამკვიდრებლის კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების რისკს წარმოადგენს ასევე შემთხვევა, როდესაც მამკვიდრებელი სამკვიდრო ქონების ნაწილს უანდერძებს კრედიტორს. მოცემულ შემთხვევაში ვიღებთ მოცემულობას, როდესაც მოვალე და კრედიტორი ერთი პირია, ხოლო სსკ-ს 452-ე მუხლის თანახმად „ვალდებულებითი ურთიერთობა შეწყდება, თუ მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება“. ამ შემთხვევაში ყურადღება აღარ ექცევა იმ ფაქტს ყოფნის თუ არა სამკვიდრო ქონების ღირებულება კრედიტორის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, მან ქონების ნაწილიც, რომ მიიღოს, რის შედეგადაც დაიკმაყოფილებს მოთხოვნის მხოლოდ შესაბამის ნაწილს, დარჩენილ ნაწილზე მოთხოვნის უფლება აღარ წარმოეშვება.

თუ მამკვიდრებელმა ქონება თავის კრედიტორს უანდერძა, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს კრედიტორის მოთხოვნის უფლების გაქვითვად. სამართლებრივად ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ვალდებულებაში მოვალისა და კრედიტორის უფლება-მოვალეობების ერთი პირის ხელში თავმოყრას. როცა მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირია, ვალდებულება უნდა შეწყდეს. ვალდებულების შეწყვეტა ლოგიკურია ყველა შემთხვევაში, როცა მამკვიდრებელმა მთელი თავისი ქონება უანდერძა პირს, რომელიც მისი ერთ-ერთი კრედიტორია.⁸⁰

⁷⁹ ზოიძე ო., სანოტარო და სასამართლო პრაქტიკის ორიოდ პრობლემის შესახებ, ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი I, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2004, 16.

⁸⁰ კრედიტორების დაკმაყოფილება მემკვიდრეთა მიერ - #2(182), 2015, აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები; ყოველთვიური ჟურნალი მეწარმეებისა და ფინანსისტებისთვის, (<http://aaf.ge/index.php>, იხ. ბმულზე: <http://aaf.ge/index.php?menu=1&rubr=6&mas=2376>)

იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორის მიერ მისაღები წილი ნაკლებია კრედიტორის მოთხოვნაზე და მან იცის, ან ეჭვი აქვს, რომ სრული სამკვიდრო ქონებიდან მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება მოხდებოდა სრულად, ან იმაზე დიდი რაოდენობით ვიდრე ეს მოხდება სამკვიდროს მიღების შემთხვევაში, კრედიტორს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე და დარჩენილ მემკვიდრეებს წაუყენოს მოთხოვნა სსკ-ს მეთორმეტე თავით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

საინტერესოა, როგორ ხდება კრედიტორის ინტერესის დაცვა უცხო ქვეყნების სამართლის მიხედვით. ქართული და გერმანული სამართალი თითქმის ერთნაირად აწესრიგებს მემკვიდრეობით ურთიერთობებს, თუმცა გერმანული სამართალში უფრო მეტ ნორმას შევხვდებით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. გერმანული სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით ქართული სამოქალაქო კოდექსი მამკვიდრებლის კრედიტორთა დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით უფრო მეტ კითხვას ბადებს ვიდრე პასუხს.

4. ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნების პრაქტიკა კრედიტორთა ინტერესების დაცვასთან მიმართებაში

ზემოთ უკვე ვისაუბრე ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში სამკვიდროს მიღების პროცესზე და წესებზე. ახლა მინდა ვისაუბრო მათ მნიშვნელობაზე კრედიტორთა ინტერესების დაცვასთან მიმართებაში.

როდესაც პირი გარდაიცვლება, უნდა მოხდეს მისი ქონების ლიკვიდაცია, რაც გულისხმობს მისი კუთვნილი ქონების იდენტიფიცირებასა და შეგროვებას, ვალებისა და საკომისიოების გადახდას და სამკვიდრო ქონების შესაბამისი მემკვიდრეებისათვის გადაცემას. ეს არის სამართალში მემკვიდრეობითი პროცესის (რომელსაც ინგლისურად ეწოდება “probate”) ფუნქცია.⁸¹

ცნობილია, რომ აშშ-ს ყველა შტატი საკუთარი სამართლით არეგულირებს მემკვიდრეობით სამართალთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ჩემი ყურადღება მიიქცია ლუიზიანას შტატის სამართალმა, რომელიც ყველაზე მეტად ითვალისწინებს კრედიტორის ინტერესებს და ვფიქრობ აღნიშნული პრაქტიკის ქართული სამართლისათვის გაცნობა და მისი ჩვენს პრაქტიკაში გამოყენება უზრუნველყოფს მამკვიდრებელთა კრედიტორების უფლებების სრულად დაცვას.

⁸¹ იხ. Cavanaugh K.W., Problems In The Law of Succession: Creditors' Rights, 48 La. L. Rev, 1988, 1109. (იხ. ბმულზე: <https://digitalcommons.law.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=5120&context=lalrev>)

როგორც წესი ანგლო-ამერიკული სამართალი არ იცნობს ე.წ უნივერსალური მემკვიდრის⁸² ცნებას, თუმცა ლუიზიანას შტატის მემკვიდრეობითი სამართლისათვის, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, უნივერსალური მემკვიდრეობა უცხო არ არის. უნივერსალური მემკვიდრეობის შემთხვევაში არ ხდება საკუთრების უფლების შეწყვეტა, მაგრამ სანამ მემკვიდრე სამართლებრივი წესით დაიკავებს ქონების მესაკუთრის ადგილს და შეუდგება მესაკუთრისათვის დამახასიათებელი ყველა უფლების გამოყენებას, კრედიტორის ინტერესებისათვის, კანონის შესაბამისად შეიძლება მოთხოვნილ იქნეს სამკვიდრო ქონების ადმინისტრატორის დანიშვნა. მრავალი მაგალითი არსებობს, როდესაც, მემკვიდრე ყველანაირი პირობის გარეშე იღებს მემკვიდრეობას და იკავებს მესაკუთრის ადგილს, მემკვიდრეობის ადმინისტრატორის ჩარევის გარეშე. ამ შემთხვევაში, ლუიზიანას სამართალი სცილდება საერთო სამართლის იურისდიქციას, რომლისთვისაც სამკვიდრო ქონების გაყოფის დროს, კრედიტორის ინტერესებისათვის ადმინისტრატორის დანიშვნა, დამახასიათებელია. თუმცა ლუიზიანას სამართალი ამით არ შემოიფარგლებოდა, იმ შემთხვევაში თუ მემკვიდრე მიიღებდა მემკვიდრეობას ყველანაირი პირობისა და ადმინისტრატორის ჩართვის გარეშე, იგი ხდებოდა პერსონალურად პასუხისმგებელი მამკვიდრებლის ვალებზე. იქიდან გამომდინარე, რომ მამკვიდრებლის ვალებისათვის პერსონალურ პასუხისმგებლობას შესაძლოა ძალიან დიდი ზიანი მიეყენებინა მემკვიდრისთვის, რადგან შესაძლოა მამკვიდრებელს იმაზე მეტი ვალი ჰქონოდა ვიდრე ქონება, ლუიზიანას სამართალი მემკვიდრეს ორ გამოსავალს სთავაზობდა: 1) უარი ეთქვა სამკვიდროს მიღებაზე, ან 2) მიეღო სამკვიდრო ისე, რომ მისი პასუხისმგებლობა მამკვიდრებლის ვალებისათვის შეზღუდულიყო.⁸³ ამ შემთხვევაში მემკვიდრეობის მიღების პროცესში ერთვება (ე.წ „with benefit of inventory”).

სტატის ავტორი საუბრობს ლუიზიანას სტატუტის გადახედვაზე, რომელშიც საუბარია უნივერსალურ მემკვიდრეობაზე, რომლის დროსაც მემკვიდრე იღებს სამკვიდრო ქონებას ადმინისტრატორის დანიშვნისა და ყველანაირი პირობის გარეშე, პერსონალური პასუხისმგებლობის გამორიცხვით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მემკვიდრის მიერ

⁸² გერმანულ სამართალში უნივერსალურ მემკვიდრეს (Gesamtrechtsnachfolge) უწოდებენ პირს (მემკვიდრეს), რომელიც სრულად იღებს სამკვიდრო ქონებას, მამკვიდრებლის აქტივებისა და პასივების ჩათვლით, გერმანული სამოქალაქო კოდექსის §1922, (20120 წლის მდგომარეობით), გამომცემლობა შპს „სიესტა“, თბილისი, 2010 (იხ. ბმულზე: <http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf>)

⁸³ იხ. Cavanaugh K.W., Problems In The Law of Succession: Creditors' Rights, 48 La. L. Rev, 1988, 1100-1101. (იხ. ბმულზე: <https://digitalcommons.law.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=5120&context=lalrev>)

შევსებული დეტალური სია სამკვიდრო ქონების შესახებ. აქვე ავტორი აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს ცვლილება ძალაში შევა, ეს გამოიწვევს კრედიტორების მხრიდან ყველა საქმეზე სამკვიდროს დაცვისა ან/და ადმინისტრატორის დანიშვნის მოთხოვნას, რაც ლუიზიანას მემკვიდრეობით ეკონომიკას შეარყევს.⁸⁴

ლუიზიანას სტატუტის გადახედვის შემდეგ კრედიტორის უფლებებს სერიოზული ზიანი მიადგება, თუ ჩაითვლება, რომ მემკვიდრეებს შეუძლიათ მიიღონ სამკვიდრო ქონება ადმინისტრატორის დანიშვნის გარეშე და თავიდან აიცილონ პერსონალური კრედიტორების მიმართ, მემკვიდრეობის მიღების პროცესში, უბრალოდ, სამკვიდრო ქონების შესახებ დეტალური სიის შევსებითა, ან ქონების ინვენტარიზაციით.⁸⁵

აღნიშნული სტატიის შინაარსიდან შეგვიძლია ვიმსჯელოთ ქართული სამართლის სისუსტეზე. მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით ქართული სამართალი ძალიან სუსტია. სამოქალაქო კოდექსი არანაირ ინფორმაციას არ გვაძლევს სამკვიდროს აღწერაზე, არაფერს ვამბობ მის სავალდებულობაზე. იგივე შეიძლება ითქვას სამკვიდრო მმართველის დანიშვნაზე. კარგი იქნებოდა, თუ გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში მაინც (მაგ. როგორცაა მამკვიდრებლის კრედიტორთა არსებობა, მათი არსებობის შესახებ ინფორმაციის ქონის შემთხვევაში) სავალდებულო ყოფილიყო სამკვიდროს მმართველის დანიშვნა.

5. ქართული სასამართლო პრაქტიკა

ქართული სასამართლო პრაქტიკა სამწუხაროდ ვერ დაიკვეხნის მამკვიდრებლის კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან არსებული დავების სიმრავლით. თუმცა არსებული პრაქტიკის განხილვა დაგვეხმარება კიდევ უფრო მეტი ხარვეზის აღმოჩენაში და მათი გამოსწორების გზების პოვნაში.

ერთგვაროვანი პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საკასაციო სასამართლომ კრედიტორთა მიერ მემკვიდრეებისათვის მოთხოვნის წაყენების 6 თვიანი ვადის ათვლის შესახებ.

საკასაციო პალატა, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სსკ-ის 1488 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი 6 ექვსთვიანი ვადა არის მამკვიდრებლის კრედიტორთა მიერ უშუალოდ მემკვიდრეებისათვის მოთხოვნის (პრეტენზიის) წარდგენის და არა სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადა. ამასთან,

⁸⁴ იხ. იქვე, 1102.

⁸⁵ იხ. იქვე, 1127.

გასათვალისწინებელია, რომ, თუ მამკვიდრებლის კრედიტორებმა ზემოხსენებული ვადის დაცვით არ წარუდგინეს მოთხოვნა მემკვიდრეებს, ისინი კარგავენ მოთხოვნის უფლებას, რაც, შემდგომში, სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, ამ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება

გახდეს. საკასაციო პალატამ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ მითითებული ნორმით დადგენილია პრეტენზიის – მოთხოვნის წარდგენის ვადა და არა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც სასამართლოსათვის მიმართვის გზით კრედიტორს შეუძლია დაიკმაყოფილოს მოთხოვნა. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოვალეს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაზე მითითებით.⁸⁶ მოთხოვნა კი, როგორც წესი, წარედგინება უშუალოდ მხარეს. საპრეტენზიო ვადაში მოთხოვნის წარუდგენლობა სასამართლოში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. საპრეტენზიო ვადაში წარდგენილი მოთხოვნა კი, შეიძლება არ დააკმაყოფილოს სასამართლომ, თუ გავიდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა და მოვალე მიუთითებს ამის თაობაზე.⁸⁷

როგორც სამკვიდროს გახსნის, ასევე, იმ მემკვიდრეთა შესახებ, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს, მაშინ კრედიტორებმა მემკვიდრეებს მოთხოვნა უნდა წარუდგინონ სამკვიდროს გახსნის შესახებ ცნობის მიღებიდან ექვს თვეში. ამასთან, შესაძლებელია, კრედიტორებმა იცოდნენ სამკვიდროს გახსნის თაობაზე მამკვიდრებლის გარდაცვალების დღესვე, მაგრამ სამკვიდროს მიიღებ მემკვიდრეთა შესახებ მათ ვერ შეიტყონ სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვს თვეში, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე ნოტარიუსს განცხადებით მიმართავს სსკ-ის 1424-ე მუხლით დადგენილი ექვსთვიანი ვადის ბოლო დღეს ან კრედიტორისათვის არაა ცნობილი იმ ფაქტების თაობაზე, რომლებიც მემკვიდრის მიერ ამავე ვადაში სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებას ადასტურებს. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, სამკვიდროს მიღების თაობაზე კრედიტორებისათვის ცნობილი ხდება მემკვიდრეთა მიერ სამკვიდრო მოწმობის აღების შემდეგ ან მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას. საკასაციო

⁸⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 07 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-143-136-2010. (<http://prg.supremecourt.ge/>)

⁸⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-968-1269-07. (<http://prg.supremecourt.ge/>)

მითითებულია: მემკვიდრეობითი სამართალი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, N1, 2018, 186.

(<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018w-samoqalaqo-krebuli1.pdf>)

პალატის მოსაზრებით, ასეთ დროს, მამკვიდრებლის კრედიტორებმა მემკვიდრეებს მოთხოვნა უნდა წარუდგინონ გონივრულ ვადაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა მემკვიდრეთა მიერ სამკვიდრო მიღების თაობაზე.⁸⁸

ვფიქრობ აღნიშნული განმარტება მნიშვნელოვანია კრედიტორის ინტერესებისათვის, რადგან კანონის დანაწესი კრედიტორის მიერ მოთხოვნის წაყენების ვადებთან დაკავშირებით იმდენად ბუნდოვანია, რომ რთულია ნორმიდან გადაწყვეტილებაში მოცემული შინაარსის ამოკითხვა. აღნიშნული განმარტების გარეშე კი კრედიტორის ინტერესები ილახება, რადგან 1488-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კრედიტორი ვალდებულია სამკვიდროს გახნიდან 6 თვის განმავლობაში წარუდგინოს მოთხოვნა მემკვიდრეებს, თუმცა შეიძლება 6 თვე ისე გავიდეს, რომ ვერ დადგინდეს ვინ არიან მემკვიდრეები, შესაბამისად, შეუძლებელი იქნებ მოთხოვნის წაყენება, მაშინ, როდესაც, არ იცი ვის უნდა წაუყენო იგი. უზენაესი სასამართლოს განმარტება მიმართულია კრედიტორის ინტერესების დაცვისა და კანონის ხარვეზის გამოსწორების მცდელობისაკენ.

IV. უმკვიდრო ქონება

1. კრედიტორთა დაკმაყოფილება უმკვიდრო ქონებიდან

მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მისი უფლება-ვალდებულებები გადადის მის მემკვიდრეებზე, რომელთა წრეშიც შედიან კანონით გათვალისწინებული ხუთი რიგის მემკვიდრეები. თუმცა პრაქტიკაში დასაშვებია, რომ არ არსებობდეს არცერთი რიგის მემკვიდრე, ან ყველა მათგანმა უარი განაცხადოს ქონების მიღებაზე. თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე. ხოლო თუ მამკვიდრებელი მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე იმყოფებოდა, მაშინ - მათ საკუთრებაში.

ნათელია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების არსებობისას მამკვიდრებლის ქონება ხდება უმკვიდრო და მის მიღებაზე კანონით უფლება წარმოეშობა შემდეგ სუბიექტებს: სახელმწიფოს ან იმ დაწესებულებას, რომელის რჩენაზეც მამკვიდრებელი იმყოფებოდა.

⁸⁸ მემკვიდრეობითი სამართალი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, N1, 2018, 187. (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018w-samoqalaqo-krebuli1.pdf>)

მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიღების დადგენილი ვადის გაშვებისთანავე წარმოიშობა შესაბამისი სუბიექტის (ხაზინა და სხვ.) უფლება უმკვიდრო ქონებაზე. ამის გამო დაუშვებელია სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების შემდეგ სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე სამკვიდროს მიღება, რადგან ეს ხელყოფს უმკვიდრო ქონების მიმღები სუბიექტის უკვე წარმოშობილ უფლებას.⁸⁹ ხაზინის უფლება უმკვიდრო ქონების მიღებაზე წარმოიშობა რამდენიმე პირობის ერთდროულად არსებობისას:

ა) სამკვიდრო ქონება უნდა იყოს უმკვიდრო.

ბ) მამკვიდრებელი არ უნდა ყოფილიყო მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე.⁹⁰

პირველი პირობის არარსებობა, ანუ სამკვიდროს მიღება მემკვიდრეთა მიერ, ცხადია, გამორიცხავს ქონების უმკვიდროდ აღიარებას, ხოლო თუ არსებობს პირველი პირობა, ამ შემთხვევაში დგინდება უმკვიდრო ქონების მიღების უფლების მქონე პირის ვინაობა. ქონების უმკვიდრობის ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების წარდგენა დასაშვებია მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გასვლისთანავე, ე.ი. მემკვიდრეობის გახსნიდან ექვსი თვის შემდეგ. უმკვიდრო ქონება შეიძლება მიღებულ იქნეს სამკვიდროს მიღების ვადის გასვლის შემდეგ ნებისმიერ დროს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე. სასამართლოსათვის მიმართვის საფუძველს წარმოადგენს მამკვიდრებლის უმემკვიდრეოდ გარდაცვალების ფაქტის ცოდნა. ცხადია უფლებამოსილმა სუბიექტმა უნდა გაიგოს, რომ გაიხსნა მემკვიდრეობა და მამკვიდრებლის ქონება უმკვიდროა.⁹¹ დღესდღეობით აღნიშნული ინფორმაციის მიღება პრობლემას წარმოადგენს შესაბამისი ბაზების არქონის გამო, რომელზეც ზემოთ უკვე ვისაუბრე.

იმისათვის, რომ განისაზღვროს გარდაცვლილი პირის უფლება-ვალდებულებათა წრე, რომელიც გადაეცემა სახელმწიფოს ან მამკვიდრებლის მარჩენალ დაწესებულებას, აუცილებელია დავადგინოთ, თუ რა სახის ქონება შედის უმკვიდრო ქონების მასაში. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ უმკვიდრო ქონების მასაში შედის ის ქონება, რაც შედის სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში. სამკვიდრო ქონებას კი როგორც ვიცით წარმოადგენს ქონება და ვალდებულებები, რომელიც მამკვიდრებელს გააჩნდა სიკვდილის მომენტისათვის. შესაბამისად უმკვიდრო ქონების მიმღებ სუბიექტებსაც უნდა გადაეცეს მთელი ქონება და ყველა ის ვალდებულება, რაც მამკვიდრებელს გააჩნდა სიკვდილის მომენტისათვის. თუმცა, რა თქმა უნდა

⁸⁹ ზოიძე ო., სანოტარო და სასამართლო პრაქტიკის ორიოდ პრობლემის შესახებ, ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი I, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2004, 10-11.

⁹⁰ იხ. იქვე, 12.

⁹¹ იხ. იქვე, 10 და შემდგომნი

უმკვიდრო ქონების მიმღებ სუბიექტთა ვალდებულების ფარგლებიც განისაზღვრება სამკვიდრო ქონების ღირებულების შესაბამისად.

უმკვიდრო ქონების მასაში შედის ყველა ის ნივთი და მოთხოვნა, აგრეთვე ვალდებულება, რომელიც სამკვიდრებლის საკუთრებაში იყო მემკვიდრეობის გახსნის მომენტში.

უმკვიდრო ქონების არსებობა არ არის სამკვიდრებლის ნების გამოვლენის შედეგი. თუ სამკვიდრებელმა მემკვიდრეობის გახსნამდე მიატოვა ნივთი, ამ შემთხვევაში მიტოვებული ნივთი მემკვიდრეობის გახსნის მომენტისათვის აღარაა სამკვიდრებლის საკუთრება და, შესაბამისად, იგი არ იქნება უმკვიდრო ქონების ნაწილი. მოძრავი ნივთის შეძენის კეთილსინდისიერების პირობების არსებობის შემთხვევაში უმკვიდრო ქონების მასაში შევა არა თვით ნივთი, რომელიც კეთილსინდისიერად შეიძინა ახალმა მესაკუთრემ. ამ შემთხვევაში უმკვიდრო ქონების მასაში შევა არა თვით ნივთი, არამედ მოთხოვნის უფლება იმ პირის მიმართ, ვინც გაასხვისა ნივთი. სხვა შემთხვევაში უმკვიდრო ქონების მასაში შევა მოძრავი ნივთი, რომელიც სამკვიდრებლის ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი მფლობელობიდან, ან შემქმნმა უსასყიდლოდ მიიღო ეს ნივთი.⁹²

კრედიტორის ინტერესებისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს უმკვიდრო ქონების მიღების უფლების მქონე პირის ვინაობა.

1.1 სახელმწიფოს ვალდებულებები სამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე

უმკვიდრო ქონების მიღების ვალდებულება აქვს ხაზინას და არა ადგილობრივი მმართველობის ორგანოს.⁹³ დიახ ეს არის ხაზინის ვალდებულება და არა უფლება, ხაზინას არ აქვს უფლება უარი თქვას უმკვიდრო ქონების მიღებაზე.

სახელმწიფოს მიმართ არ მოქმედებს პრეზუმფცია - ყველაფერი რაც კანონით აკრძალული არ არის, ნებადართულია. სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ ის რაც კანონში წერია, შესაბამისად ქონების მასზე გადასვლის შემთხვევაში უმკვიდრო ქონების მიღების ვალდებულების მატარებელია სახელმწიფო, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1444-ე მუხლის თანახმად უფლება არ აქვს უარი განაცხადოს სამკვიდროს მიღებაზე და ვალდებულია ისეთივე წესით აგოს პასუხი სამკვიდრებლის ვალეზე, როგორც ჩვეულებრივი მემკვიდრე. კრედიტორთა დაკმაყოფილება უმკვიდრო ქონებიდან უნდა მოხდეს სახელმწიფოსათვის მოთხოვნის წაყენების

⁹² ზოიძე ო., სასაქონლო და სასამართლო პრაქტიკის ორიოდე პრობლემის შესახებ, ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი I, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2004, 22.

⁹³ იქვე, 14.

საფუძველზე. სახელმწიფო მემკვიდრეა და მამკვიდრებლის ვალის გასტუმრებაც მას ეკისრება.⁹⁴ სხვა შემთხვევაში დადგებოდა კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების რისკი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მიუხედავად კერძო საკუთრების მასშტაბებისა, არსებობს ქონება, რომელზეც სახელმწიფომ დღემდე შეინარჩუნა საკუთრების უფლება. სახელმწიფო საკუთრებაშია როგორც საჯარო ნივთები, ასევე სხვა სახის ქონება. კანონით დადგენილია როგორც სახელმწიფო ქონების მართვის, ასევე ამ ქონებაზე საკუთრების უფლების ტრანსფორმაციის სამართლებრივი რეჟიმი.⁹⁵ სხვა სახის ქონებაში შეგვიძლია მოვიპოვოთ უმკვიდრო ქონებაც, რომელიც შესაბამისი წინაპირობების არსებობისას გადაეცემა სახელმწიფოს და რომელსაც შემდეგ სახელმწიფო დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად მართავს - გადასცემს სარგებლობაში ან საკუთრებაში.

უმკვიდრო ქონება, თუკი მამკვიდრებელი არ იმყოფებოდა რომელიმე სოციალური დაცვის დაწესებულების რჩენაზე, აუცილებლად გადაეცემა სახელმწიფოს მასში შემავალი მთელი ქონებრივი უფლებებითა და ვადებულებებით, ასევე მოთხოვნის უფლებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფო ხდება გარდაცვლილი მამკვიდრებლის ჩვეულებრივი მემკვიდრე, რომელსაც მემკვიდრის მსგავსად გააჩნია კანონით მემკვიდრეთათვის დაწესებული ყველა უფლება-ვალდებულება, რომელიც სამკვიდრო ქონებას შეეხება. შესაბამისად სახელმწიფო უფლებამოსილი ხდება სამკვიდრო ქონება გაასხვისოს, ასევე მოსთხოვოს მესამე პირებს მამკვიდრებლის მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულება, მაგრამ თუკი მამკვიდრებელს სიკვდილის მომენტისათვის გააჩნდა ქონებრივი ვალდებულებები მესამე პირთა მიმართ, სახელმწიფო ვალდებულია მიღებული სამკვიდრო ქონებიდან, პირველ რიგში, უზრუნველყოს მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილება.

უმკვიდრო ქონების სახელმწიფოს მიერ მიღების ვადის შესახებ კანონში არაფერია აღნიშნული, წერია მხოლოდ ის, რომ უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე, რომელსაც არ აქვს მის მიღებაზე უარის თქმის უფლება. ვინაიდან ვადა არ არის მოცემული, სახელმწიფოს ამ მუხლით დაკისრებული ვალდებულების დარღვევაში რომ არ ჩაეთვალოს, იგულისხმება, რომ მის

⁹⁴ შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), მეორე გამოცემა, გამომცემლობა «მერიდიანი», თბილისი, 2011, 187.

⁹⁵ შოთაძე თ., საერთო საკუთრებისა და საზიარო უფლებების მარეგულირებელი ნორმების შედარებითი ანალიზი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სამართლის ჟურნალი, N2. 2009, 19 (იხ. ბმულზე: https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/Sam%20Jurn%20N2%202009.pdf).

მიერ სამკვიდროს მიღების თაობაზე განცხადების შეტანის დრო დგება სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის შემდეგ, ე. ი. როდესაც მემკვიდრეთა მიერ უკვე გაშვებულია სამკვიდროს მიღების სსკ-ს 1424-ე მუხლით დადგენილი ვადა.

ქონება იმ შემთხვევაშიც არის შესაძლებელი გადაეცეს სახელმწიფოს, როდესაც მამკვიდრებელმა ანდერძით გაითვალისწინა ქონების მხოლოდ გარკვეული ნაწილი, მაგალითად ოქროულობა და ბინა, ხოლო აგარაკი ანდერძში არ მოუხსენიებია. თუ კანონით მემკვიდრეები არ არიან სახეზე, დარჩენილი უმკვიდრო ქონება გადაეცემა სახელმწიფოს. შესაძლებელია ანდერძით და უმკვიდრო ქონებაზე დაფუძნებული მემკვიდრეობის შეთავსება იმ შემთხვევაში, თუ კანონით მემკვიდრეები არ არიან, ხოლო ანდერძით სამკვიდროს მხოლოდ ნაწილია გათვალისწინებული. ასეთ შემთხვევაში ანდერძით გაუთვალისწინებელი ქონება გადაეცემა ხაზინას, როგორც უმკვიდრო.⁹⁶

1.2 უმკვიდრო ქონების მიმღებ დაწესებულებათა ვალდებულებები მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე

უმკვიდრო ქონების მიღების უფლების მქონე არ არის მხოლოდ ხაზინა, ასეთი უფლება კანონით მინიჭებული აქვს ასევე მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებებს, თუ მამკვიდრებელი იმყოფებოდა მათ რჩენაზე.

მამკვიდრებელს შეიძლება არჩენდა ფიზიკური ან იურიდიული პირი (მოხუცებულთა თავშესაფარი, ბავშვთა სახლი და სხვა მსგავსი დაწესებულება), თუმცა უმკვიდრო ქონების მიღების უფლება აქვს მხოლოდ „დაწესებულებას“.⁹⁷

აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე იგნორირება ხდება ყველა დანარჩენი ფიზიკური თუ იურიდიული პირისა, რომლებიც არ წარმოადგენენ ამ მუხლში კონკრეტულად მითითებულ სუბიექტებს, ამ ნორმის შინაარსით ხდება მამკვიდრებლის წინაშე ყველა სხვა დანარჩენი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ჩადენილი კეთილსინდისიერი ქმედებების უგულვებელყოფა.

მეწარმეობა ფართო ცნებაა და ამ გაგებით იგი მოიცავს ყველა იმ სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების გამოყენების შესაძლებლობას, რომლებიც რეგულირდება ვალდებულებითი სამართლის ნორმებით. სამეწარმეო

⁹⁶ახვლედიანი ზ., ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000, 400.

⁹⁷ ზოიძე ო., სანოტარო და სასამართლო პრაქტიკის ორიოდე პრობლემის შესახებ, ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი I, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2004, 15.

სამართალი, მისი სპეციფიკური ხასიათის მიუხედავად, მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული სამართლის სხვადასხვა დარგებთან, კერძოდ შრომის, ადმინისტრაციულ, სისხლისა და განსაკუთრებით სამოქალაქო სამართალთან. ვინაიდან მეწარმე კანონის თანახმად არის „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული საქმიანობით შეძენილი ან მიღებული ქონების მესაკუთრე, მისი უფლებაუნარიანობის ერთ-ერთი ელემენტი არის სწორედ მასთან დაკავშირებული მემკვიდრეობის უფლების განხორციელება.⁹⁸

სსკ-ს 1343-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს: „უმკვიდრო ქონება სამეწარმეო საზოგადოებაში ან კოოპერატივში წილის, აქციის ან პაის სახით გადადის მათ ხელში, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“ ოთარ ზოიძე თავის სტატიაში აღნიშნულ ნორმას მეტისმეტად უვარგისს უწოდებს. მისი მოსაზრებით სტილისტური გაუმართაობის გამო ბუნდოვანია, „ვის ხელში გადადის“ უმკვიდრო წილი, პაი თუ აქცია. მეწარმეთა კანონის მიხედვით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ეკრძალება საკუთარი წილის ფლობა. სააქციო საზოგადოებას არა აქვს უფლება გამოისყიდოს უმკვიდრო აქცია, ხოლო კოოპერატივის სამართლებრივი და ეკონომიკური ბუნებიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია პაის გადასვლა თვით კოოპერატივზე და ამგვარ ნორმას არც მეწარმეთა შესახებ კანონი უშვებს. შესაბამისად, მეწარმეთა შესახებ კანონი გამორიცხავს უმკვიდრო აქციის, წილის, პაის გადასვლას სამეწარმეო საზოგადოების ან კოოპერატივის საკუთრებაში.⁹⁹

2. უმკვიდრო ქონებასთან დაკავშირებული პრობლემები ქართულ პრაქტიკაში

სსკ-ს 1343-ე მუხლის დანაწესი ერთი შეხედვით არ ეხება კრედიტორის ინტერესებს, მაგრამ ვფიქრობ სწორედ ეს არის აღნიშნული ნორმის პრობლემა. უმკვიდრო ქონების მიღების წესი იმდენად ზედაპირულად არის მოწესრიგებული კანონმდებლობით, რომ გაურკვეველია, რა ვადებში უნდა მოხდეს ხაზინის თუ მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებების მიერ უმკვიდრო ქონების მიღება, როდის შეუძლიათ მათ უმკვიდრო ქონების მიღებაზე მოთხოვნის დაფიქსირება ან საერთოდ რა გზით უნდა მიიღონ ინფორმაცია უმკვიდრო ქონების არსებობის შესახებ. აღნიშნული საკითხის მოუწესრიგებლობა იწვევს

⁹⁸ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999, 405.

⁹⁹ ზოიძე ო., სანოტარო და სასამართლო პრაქტიკის ორიოდ პრობლემის შესახებ, ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი I, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2004, 13-14.

კრედიტორის ინტერესების შელახვას, რადგან ხშირია შემთხვევა, როდესაც ქონება, რომლიდანაც კრედიტორმა უნდა დაიკმაყოფილოს მოთხოვნა, რჩება უმკვიდროდ, ამ შემთხვევაში საჭიროა სახელმწიფოს ჩართვა რათა მოხდეს შესაბამისი ორგანოს/დაწესებულების მიერ უმკვიდრო ქონების მიღება და კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება. თუმცა, ნორმის სისუსტის გამო შესაძლოა აღნიშნული პროცესი გაიწელოს და კრედიტორის ინტერესს ზიანი მიადგეს.

რაც შეეხება სსკ-ს 1343-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესს, ვფიქრობ აღნიშნული ნორმა საერთოდ გაუმართლებელია და საინტერესოა, რატომ გადაწყვიტა კანონმდებელმა ასეთი ნორმის შემუშავება, როდესაც იგი პირდაპირ ეწინააღმდეგება სამეწარმეო კანონის ნორმებს, მითუმეტეს გასაკვირია.¹⁰⁰

V. სამკვიდროს დაცვის მნიშვნელობა კრედიტორთა დაკმაყოფილების ჭრილში

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეცამეტე თავი ეხება სამკვიდროს დაცვას. ვფიქრობ საინტერესო იქნება აღნიშნული თავით დადგენილი ნორმები განვიხილოთ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესების დაცვასთან მიმართებაში. სსკ-ს 1495-ე მუხლის თანახმად ნოტარიუსს შეუძლია მიიღოს სამკვიდროს დაცვისათვის აუცილებელი ზომების თავისი ინიციატივით, დაინტერესებული პირებისა თუ ანდერძის აღმსრულებლის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში თუ ირღვევა ადგილზე არმყოფი მემკვიდრეების, საანდერძო დანაკისრის მიმღები პირების და საჯარო ინტერესი. სამოქალაქო კოდექსი სამკვიდროს დაცვის ერთერთ აუცილებელ ზომად მიიჩნევს სამკვიდროს აღწერას და მათ გადაცემას შესაძლებლად მემკვიდრესა თუ სხვა პირისათვის.

უმეტესად სამკვიდროს დაცვა სპეციალურ ღონისძიებებს არ საჭიროებს, რადგან სამკვიდროს დაცვას ძირითადად ახორციელებენ ის მემკვიდრეები, რომლებიც ჯერ კიდევ სხვა მემკვიდრეების გამოცხადებამდე სამკვიდროს მფლობელები გახდნენ. ზოგჯერ სამკვიდროს გახსნის შემდეგ მემკვიდრეები ადგილზე არ არიან, ან არ იციან სამკვიდროს გახსნის შესახებ, ზუსტად არ არის ცნობილი სამკვიდროს შემადგენლობა და ა.შ. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი ხდება სამკვიდროს დასაცავად (დალუპვისაგან, გაფუჭებისაგან, დატაცებისაგან და სხვ.) ზომების მიღება, რაც სამკვიდროს გახსნის ადგილის ნოტარიუსს ევალება. სამკვიდროს დაცვის აუცილებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს ასევე საანდერძო დანაკისრის მიმღებთა და საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე. ნოტარიუსი სამკვიდროს დაცვას

¹⁰⁰ იხ. იქვე.

ახორციელებს არა მხოლოდ დაინტერესებულ პირთა მოთხოვნით, არამედ ასევე თავისი ინიციატივითაც.¹⁰¹

ზემოთ უკვე ვისაუბრე Karl W. Cavanaugh-ის მოსაზრებაზე კრედიტორთა ინტერესების დაცვასთან მიმართებით სტატიაში „Problems in the law of succession: Creditors' rights“. ავტორის აზრით იმ შემთხვევაში თუ ლოუიზიანას შტატის სამართალში შევიდოდა ცვლილებები და გამოირიცხებოდა მემკვიდრის პერსონალური პასუხისმგებლობა, ეს გახდებოდა მიზეზი კრედიტორთა მიერ სამკვიდროს დაცვის მოთხოვნის.¹⁰² აქედან გამომდინარე, სამკვიდროს დაცვა კრედიტორთა მოთხოვნის შესაბამისად აშშ-ში მიღებული პრაქტიკაა და სამკვიდროს დაცვის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციად სწორედ სამკვიდროს დაცვას მიიჩნევენ.

მართალია ქართული სამართალი ითვალისწინებს სამკვიდროს დაცვას, მაგრამ მას ნამდვილად არ უკავშირებს კრედიტორთა ინტერესებს. ნორმა უფლებას აძლევს უფლებამოსილ პირს მოითხოვოს სამკვიდროს დაცვა, უფლებამოსილი პირი შესაძლოა იყოს კრედიტორიც, იმ შემთხვევაში თუ იგი დაამტკიცებს მასსა და სამკვიდრებელს შორის ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობის არსებობას. თუმცა, კანონი კრედიტორს სამკვიდროს დაცვის უფლებას არ აძლევს, რადგან სსკ-ს 1495-ე მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს იმ პირობებს, რომლის არსებობის შემთხვევაშიც შეიძლება სამკვიდროს დაცვის მოთხოვნა, ესენია: 1) ადგილზე არმყოფი მემკვიდრეების ინტერესის შელახვის საფრთხე; 2) საანდერძო დანაკისრის მიმღების პირის ინტერესის შელახვის საფრთხე; და 3) საჯარო ინტერესის შელახვის საფრთხე. სამივე შემთხვევა აბსოლუტურად სცდება კრედიტორის ინტერესებს, შესაბამისად, კრედიტორი დაინტერესებულ პირად, რომც ჩავთვალოთ იგი საკუთარი ინტერესის დასაცავად მაინც ვერ მოითხოვს სამკვიდროს დაცვის გამოყენებას. აქვე უნდა აღვნიშნო, ნოტარიუსის ვალდებულება სამკვიდროს დაცვასთან დაკავშირებით. დღევანდელი სამართალი არცერთ შემთხვევაში არ ავალდებულებს ნოტარიუსს გამოიყენოს სამკვიდროს დაცვის გზები, კანონი მას, რომც ავალდებულებდეს სამკვიდროს დაცვას, ნორმის დღევანდელი ფორმულირებით იგი ვერ გამოიყენებდა მას კრედიტორთა ინტერესების დასაცავად.

¹⁰¹ ახვლედიანი ზ., ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.) , საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000, 521.

¹⁰² იხ. Cavanaugh K.W., Problems In The Law of Succession: Creditors' Rights, 48 La. L. Rev, 1988, 1102. (იხ. ბმულზე: <https://digitalcommons.law.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=5120&context=lalrev>)

შესაბამისად, ვფიქრობ ქართულ სამართალში არსებობს ნორმა, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კრედიტორთა ინტერესების დასაცავად, თუმცა მისი შინაარსიდან გამომდინარე დღეს-დღეობით შეუძლებელია ნორმის ამგვარი გამოყენება. კარგი იქნება, თუ გადაიხედება სსკ-ს 1495 მუხლი და მისი გამოყენების პირობებს დაემატება კრედიტორის ინტერესებზე ზრუნვა, ხოლო ნოტარიუსს წარმოეშვება ვალდებულება, რომელიმე პირობის არსებობის შემთხვევაში გამოიყენოს სამკვიდროს დაცვის გზები.

VI. დასკვნა

ნაშრომში არაერთხელ აღვნიშნე მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესის მიმართ ქართული სამართლის „ინფანტილური“ დამოკიდებულების შესახებ. ვფიქრობ მემკვიდრეობითი სამართლის ნორმების შემუშავების ეტაპზე სამართალშემოქმედმა არათუ ნაწილობრივ, არამედ საერთოდ არ გაითვალისწინა კრედიტორის ინტერესები. ერთი შეხედვით კრედიტორთა დასაცავად მოვლენილი ნორმები (მაგ. როგორცაა მამკვიდრებლის გარდაცვალების შემთხვევაში კრედიტორთა დაკმაყოფილების ვალდებულება, მემკვიდრეთა მიერ შეტყობინების ვალდებულება და მსგავსი ნორმები) ზედაპირულად აწესრიგებენ მემკვიდრეთა მიერ მამკვიდრებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით წარმოშობილ პრობლემებს. ხოლო რაც შეეხება კრედიტორის ინტერესების დაცვას, მას მემკვიდრეობითი სამართლის არცერთი ნორმა არ ითვალისწინებს.

ნაშრომში მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნის მემკვიდრეობითი სამართლის მაგალითები, რის შედეგადაც შეიძლება ითქვას, რომ კრედიტორთა ინტერესების დაცვის მხრივ, ყველაზე ეფექტურ სამართლის მოდელს წარმოადგენს აშშ-ს სამართალი, რომელიც მემკვიდრეთა ინტერესების წინ აყენებს მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესებს, და მათ დასაცავად სამკვიდრო ქონებას აბარებს არა მემკვიდრეს, რომელიც დაინტერესებულია საკუთარი კეთილდღეობით და ყველა ღონეს მიმართავს, რომ მაქსიმალური სარგებელი მიიღოს მამკვიდრებლის ქონებიდან, კრედიტორის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის ხარჯზე, არამედ გარეშე პირს, რომელიც ინიშნება სასამართლოს მიერ და რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს სამკვიდრო ქონების განკარგა, მანამ სანამ აღნიშნული ქონებიდან არ დაკმაყოფილდება მამკვიდრებლის კრედიტორთა მოთხოვნები, სხვადასხვა საკომისოები და ხარჯები, მხოლოდ ამის შემდეგ, ნაწილდება, დარჩენილი ქონება, მემკვიდრეებზე. აღნიშნული პროცესის სამართლიანი წარმართვა გარანტირებულია, რადგან საქმის წარმოებაში ჩართულია სასამართლო და გარეშე პირი, რომელიც არ არის მემკვიდრე. აშშ-ს სამართალი, ასევე, იცნობს

სამკვიდროს დაცვის ინსტიტუტს, როგორც მემკვიდრის ინტერესის დაცვის ერთ-ერთ საშუალებას, რაც სამწუხაროდ ქართული სამართლისათვის უცხოა.

ვფიქრობ, ქართულ მემკვიდრეობით სამართალს სჭირდება საფუძვლიანი გადახედვა და რეალობაზე მორგება, რადგან დღევანდელი სამართალი წარმოადგენს, მხოლოდ მემკვიდრეობითი სამართლის ზოგად ჩარჩოს, რომელისთვისაც აუცილებელია სასამართლო და უცხოური პრაქტიკის, მაგალითებისა და რეალობაში არსებული პრობლემების გააზრება და მათი გადაჭრის გზების ნორმებში გადატანა.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაჭრის ყველაზე ეფექტური გზა იქნებოდა, კანონმდებლის მიერ, კრედიტორთა ინტერესების დაცვის მექანიზმის შემუშავება. ქართული და არა მარტო ქართული, რეალობა გვიჩვენებს, რომ მემკვიდრე ყოველთვის ცდილობს რაც შეიძლება მეტი სარგებელი ნახოს სამკვიდრო ქონებიდან, სამკვიდრო ქონების დამალვის, მისი, ვადაზე ადრე, მალულად განკარგვისა, თუ სხვა არაკანონიერი გზით, რომლის აღკვეთაც ქართული კანონმდებლობით შეუძლებელია. ამის შედეგადაც ხშირ შემთხვევაში ილახება კრედიტორთა უფლებები. ვფიქრობ აღნიშნული პრობლემის გადაჭრა შესაძლებელი იქნება სამკვიდროს ქონების განაწილების პროცესში არადაინტერესებული მხარის ჩართვის გზით. ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ქართული სამართალი იცნობს სამკვიდროს მმართველის ცნებას, თუმცა მისი დანიშვნის უფლებას, და არა ვალდებულებას ანიჭებს მამკვიდრებელს, ან რიგ შემთხვევებში ნოტარიუსს. სწორედ სამკვიდროს მმართველის დანიშვნა შეიძლება გახდეს მამკვიდრებლის კრედიტორთა დაცვის გარანტი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მემკვიდრე შესაძლოა გარიგებაში შევიდეს სამკვიდროს მმართველთან და მისი მეშვეობით, იგივე არაკანონიერი გზებით ეცადოს სამკვიდროს მიღება, ამიტომ კანონით ზუსტად უნდა განისაზღვროს სამკვიდროს მმართველად დასანიშნი პირის მიმართ წასაყენებელი მოთხოვნები. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მმართველ პირს ნიშნავს თვითონ მამკვიდრებელი, ანდერძის მეშვეობით. ყველა შემთხვევაში მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიღების პროცესში უნდა ჩაერთოს სასამართლო, სამკვიდროს მმართველის დანიშვნის ეტაპზე მაინც.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ, როგორც არაერთხელ უკვე აღვნიშნე, სამკვიდროს დაცვა არის ყველაზე ეფექტური გზა მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესების დასაცავად. კანონის დღევანდელი ფორმულირებით სამკვიდროს დაცვა არის, ნოტარიუსის, მხოლოდ, უფლება და არა ვალდებულება. ვფიქრობ აღნიშნულ ნორმაში ცვლილება არის შესატანი და მისი ფორმულირება აუცილებლად უნდა მოიცავდეს მამკვიდრებლის

კრედიტორთა ინტერესების დაცვასა და ნოტარიუსის მიერ სამკვიდროს დაცვის ვალდებულების გამოყენების სავალდებულო ხასიათს.

მიმაჩნია, რომ დღევანდელი მოცემულობით სამემკვიდრეო დავებზე, განსაკუთრებით კი მამკვიდრებლის კრედიტორებთან დაკავშირებულ დავებზე, მოსამართლეებს ნორმების ინტერპრეტაციის გზით უწევთ სასამართლო პრაქტიკის შემუშავება, რადგან მხოლოდ ქართულ სამართალში არსებული ნორმებზე დაყრდნობით შეუძლებელია ობიექტური გადაწყვეტილების მიღება, რადგან არსებული ნორმები, სამწუხაროდ, პასუხს ვერ იძლევიან რეალობაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

ბიბლიოგრაფია

- ახვლედიანი ზ. ვალდებულებითი სამართალი, (მეორე გამოცემა), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999
- ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობითი სამართალი, (მესამე გამოცემა), გამომცემელი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2007
- ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, (მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა), გამომცემლობა „მეცნიერება“, 2003
- ზოიძე ო., სანოტარო და სასამართლო პრაქტიკის ორიოდე პრობლემის შესახებ, ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი I, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2004
- ქოჩაშვილი ქ., მფლობელობა და საკუთრება - ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, გამომცემელი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2015
- შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, (თეორია და პრაქტიკა), მეორე გამოცემა, გამომცემლობა «მერიდიანი», თბილისი, 2011
- ჩიტოშვილი თ. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები (ზოგადი დახასიათება) უსაფუძვლო გამდიდრება (ძირითადი საკითხები, გამომცემელი: იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2015
- ჩიტოშვილი თ. კომლი ქართულ სამართალში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2004
- ჩიტოშვილი თ., უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2006
- ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1999
- ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.) , საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001
- ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.) , საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000
- კობხეიძე ლ., ზოგიერთი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან

დაკავშირებული დავების განხილვისას, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N2, 2014

- შოთაძე თ., საერთო საკუთრებისა და საზიარო უფლებების მარეგულირებელი ნორმების შედარებითი ანალიზი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სამართლის ჟურნალი, N2. 2009
- მემკვიდრეობითი სამართალი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, N1, 2018, 186
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2016
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-968-1269-07
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 07 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-143-136-2010
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებზე (2014 წლის II ნახევარი - 2015 წელი), თბილისი, 2017, 100-101
- საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბილისი, 2011
- კრედიტორების დაკმაყოფილება მემკვიდრეთა მიერ - #2(182), 2015, აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები; ყოველთვიური ჟურნალი მეწარმეებისა და ფინანსისტებისთვის
- Барщевский М.Ю., Наследственное право, издание 2-е. Москва, ЗАО “Издательство “Белые альвы“, 1996
- Cavanaugh K.W., Problems In The Law of Succession: Creditors’ Rights, 48 La. L. Rev, (1988)
- Inheritance Laws in the Nineteenth and Twentieth Centuries, (France • Germany • United States), The Law Library of Congress, (2014)
- Klinger V., Frank J.H., PS, THE MAGAZINE OF THE PRIVATE CLIENT SECTION, International Probate: German, Continental rift
- Wormser R. A., Burchard A., ADMINISTRATION OF GERMAN DECENTENTS’ ESTATES, (1943)